სპორტიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 1 ივლისი 2003 №120 (1891) | ფასი 50 თეთრი

ბრაზილიურ კბილებზე დიდი მოთხოვნილებაა



თავისი ჯიჯა მანჩესტერსაც უნდა

„მანჩესტერ იუნაიტედი", „რეალი", „ბარსელონა" — ბრაზილიელი რონალდინიოს ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს სწორედ ეს სამი კლუბი ეცილება და ამათგან ყველაზე მოწადინებული ინგლისელები არიან. სერ ალექს ფერგიუსონს სამხრეთამერიკელის „ოლდ ტრეფორდზე" ხილვა ჯერ კიდევ შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე სურდა და ახლა, როცა დავიდ ბექემი მადრიდელებს დაუთმო, სურვილის ასრულებაში ვინძლო, წინ ვეღარაფერი დაუდგეს.

გუშინ ბრიტანელები კლუბის აღმასრულებელი დირექტორის, პიტერ კინიონის თავკაცობით პარიზს ეწვივნენ და პსჟ-ს რონალდინიოს სანაცვლოდ 14 მილიონი ევრო შესთავაზეს. ფრანგებმა თოთხმეტი იცოტავეს, ბრაზილიელი მეტი, 18 მილიონი გვიღირსო. მანჩესტერელები ამაზეც ყაბულს არიან, მით უფრო, რომ თავად ფეხბურთელთან პირადი კონტრაქტის ყველა წვრილმან-მსხვილმანი შეთანხმებული ჰქონიათ და ხუჭუჭა ბრაზილიელსაც „მანჩესტერის" წითელი მაისურის მორგების პერსპექტივაც ერთობ ხიბლავს. მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ დღეებში ალბათ რონალდინიოს ალბიონზე გადაბარგებას გამცნობთ, მაგრამ... „რეალს" და „ბარსას" რაღა?

კატალონიელთა ახალი პრეზიდენტის, ხუან ლაპორტას ამბავი რომ ვიცით, არა გვგონია, რონიმ „ბარსელონას" მაისურა მოირგოს. ლაპორტას უამრავ დანაპირთაგან „კატალონიის სიამაყე" ჯერ მხოლოდ თურქი რუშთუთი თუ მოიწონებს თავს, ხოლო ფლორენტინო პერესი და მისი მარჯვენა ხელი ხორხე ვალდანო ამ დღეებში რას ჩახლართავენ, მხოლოდ მათ უწყიან. ერთი კია, დაუთმო „მანჩესტერმა" მადრიდელებს დეივიდ ბექემი 35 მილიონ ევროდ უფეშქაშა, ზედ კარლოს კეირუშიც დაურთო და ვინძლო, ახლა სენიორ პერესმა რონალდინიოზე უარი თქვას.

აქვე ისიც შევნიშნოთ, რომ ხვალ „რეალი" დეივიდ ბექემის პომპეზურ პრეზენტაციას აწყობს.

თბილისიმო!

უფასო ლუდისა რა მოგახსენოთ და, თბილისურმა შვიდკაცამ ორი დღით სასიამოვნოდ გაგვიგრილა უბადრუკი ყოფიერებით მოთენთილი გონება. ბორჯღალოსნებმა კარგა ხანია, დააჭაფნიკეს შვიდკაცა რაგბი, ჩვენ ახლა გავსინჯეთ და, მგონი, მოგვეწონა. კმაყოფილი ორგანიზატორები მხარზე ხელს გვიტყაპუნებენ და გვეუბნებიან, მინიმუმ კიდევ ორჯერ განახლებთ მსგავს ტურნირსო და ჩვენც ეს არ გვინდა?!

ტურნირმა კარგად ჩაიარა, იტალიელი სტუმრები „ბრავისიმოთი" დაგვემშვიდობნენ, ოგაა, ფრანგები მთლად კმაყოფილები ვერ გავუშვით — ბორჯღალოსნებმა ფინალში 29:14 დაამარცხეს „ძალები". ისე, ძალიანაც ნუ ეწყინებათ ბატონ ფრანგებს, ქართველები ხომ უძლიერესი შემადგენლობით ვთამაშობდით, ისინი კი, თუ მოისურვებენ, უკეთეს გუნდს, ასე, ხუთიოდეს მაინც შეკრებენ.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

ირაკლი გუნდიშვილი ფრანგების ლელოში შეფრ ...

გიორგი ქინქლაძეს გერმანელები არ ეშვებიან

ქინქლაძეს ვოლფსბურგი შტუტგარტმა გადააფიქრებინა

გიორგი ქინქლაძის გადაბირების მსურველ ბუნდესლიგის „ვოლფსბურგს“ უქმეებზე კიდევ ორი გერმანული გუნდი — „ჰერტა“ და „შტუტგარტი“ დაემატნენ. ფეხბურთელის სატრანსფერო საქმეებით დაკავებული კარის პროდომისის თქმით, რომელმაც ახალი ამბების სათქმელად ჯერ კიდევ წინა კვირას დაგვითქვა, ორშაბათი, ქინქლაძით დაინტერესებულ გუნდთა რაოდენობა დღითი-დღე იზრდება და ამიტომაც ის და მისი კლიენტი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობენ.

— „ვოლფსბურგი“ ხომ აქტიურობდა და ახლა მასზე მეტ ყურადღებას „შტუტგარტი“ იჩენს. ეს გუნდი ახალი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და ვფიქრობ, ასეთი ვარიანტი გიორგისთვის ურიგო არ იქნება. თანაც ბუნდესლიგის გუნდებს ფინანსურად უჭირთ, ბობოლათა გარდა ერთ-ერთი წელგამართული კი სწორედ „შტუტგარტია“. ქინქლაძისკენ თვალი იტალიურ გუნდებსაც უჭირავთ. მაგრამ, ჩემი აზრით, მისთვისაც უკეთესი იქნება და საქმეც იქითკენ მიდის, რომ მისი ტრანსფერი გერმანიაში გაიჩარხება. ვნახოთ, საბოლოოდ რა გამოვა, ქინქლაძის მსურველთაგან წინადადებები ბევრია — გვითხრა პროდომისმა.

ძოგბა ინასარიძე

როსტელეკომის თასი

რუსეთი 5:2 ლეგიონერები

1:0 კერჟაკოვი (19), 2:0, 3:0 ბულიკინი (42, 51), 4:0 პავლიუჩენკო (70), 5:0 ბუტი (76ს.კ.), 5:1 რეხვიაშვილი (79), 5:2 პოშკუსი (85)

რუსეთი: ოგანიკოვი (მანდრიკინი 46), ნიჟეგოროდოვი, კოვტუნი, სენიკოვი, ევსიკოვი (სეზაკი 62), ალდონინი (ბულიკინი 39), სოლომატინი (ვ. ბერეზუცკი 69), გუსევი, იზმაილოვი, პავლიუჩენკო, კერჟაკოვი (კირიჩენკო 18)

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

ლეგიონერები: ბერეზოვსკი (პარეიკო 46), კრუშიჩი, ბატაკი (ნდიაგა 46), მენდი, მ. ბუტი, რახიმიჩი (ზუისე 67), კოროშანი (რეხვიაშვილი 46), კანიენდა (ალბერტო 46), ფოზე ვანილდო, იაროშიკი (კისეი 46), პოშკუსი

მწვრთნელი: ვიქტორ პროკოპენკო

მაყური: გრეგ ბოლი (ინგლისი)

8 000 მაყურებელი

REUTERS ფოტოგრაფიდან

რომან პავლიუჩენკომ მილოშ კრუშიჩის სახელდახელოდ შეკრებილ ნაკრებს ერთი გაუტანა

შვედეთი

XII ტური

იურგორდენი 3:0 ჰამარბი

ენკიოპინგი 0:1 გიოტებორგი

მალმიო 5:0 ჰელსინგბორგი

ნორვეგია

XII ტური

ლინი 1:1 ვოლერენგა

ფინეთი

X ტური

ინტერი 2:0 ჯაზი

გიგიაძე მიდის, ჩომახიძე მოდის, ტრაპაიძე დგას

იონანიძე ვასოდ ფასობს

მაისის ბოლოს ქუთაისის „ტორპედოს“ კაპიტან ზურაბ იონანიძით გაძლიერებული სიმფეროპოლის „ტავრია“ ახალ სეზონში ისევ სამი ქართველით ითამაშებს. საქმე ისაა, რომ კლუბი ვასილ გიგიაძემ დატოვა. „ტავრიას“ ერთ-ერთი ლიდერი, წინა ჩემპიონატში ათი გოლის გამტანი გიგიაძე ახლახან შეხვდა კლუბის პრეზიდენტ ვიქტორ კარასიოვს და წასვლაზე შეთანხმებასაც მიაღწია.

— გადაწყვეტილი ამბავია — გიგიაძე გვტოვებს. მის ადგილს გუნდის ახალწვეული ზურაბ იონანიძე დაიკავებს — განაცხადა კარასიოვმა.

შეგახსენებთ: გიგიაძეს გასული ჩემპიონატის დაწყებამდეც სურდა სიმფეროპოლიდან აბარგება, რამდენიმე კლუბიც ეპატიჟებოდა, მაგრამ დღემდე გაუგებარი მიზეზების გამო „ტავრიაში“ დარჩა. ამ კლუბის ხელმძღვანელობა მაშინ დაუფარავად აცხადებდა, ქართველის გაყიდვა გვსურსო, თუმც მოგვიანებით სხვანაირად ალაპარაკდნენ. გიგიაძეც იძულებული გახდა, ის ერთი სეზონიც „ტავრიაში“ ჩაემთავრებინა. ახლა კი მას გზა ხსნილი აქვს. კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტი გახდა. როგორც გავიგეთ, ჩვენებურით რამდენიმე რუსული და ბულგარული კლუბია დაინტერესებული.

„ტავრიაში“ კიდევ ერთი სიახლეა — კლუბში დაბრუნდა შოთა ჩომახიძე. მართალია, ის აქამდეც სიმფეროპოლში იყო, მაგრამ მიზეზთა გამო თამაში არ შეეძლო. თუ გახსოვთ, ჩომახიძე საქართველოს მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ქუთაისის „ტორპედოში“ ოვარის წესით თამაშობდა, ზამთარში უკრაინაში დაბრუნებულს კი ფორმალობების მოუგვარებლობის გამო „ტავრიას“ განაცხადში შეყვანა არ ეღირსა. კლუბმა და ფეხბურთელმა ახლა ყველანაირი პრობლემა მოაგვარეს და ახალ სეზონს „ტავრია“ ტრაპაიძე-ჩომახიძე-იონანიძის ქართული სამეულით დაიწყებს.

ანა ზალამბერიძე

ბაბრი ჯეიმსის ფოტო

სიმფეროპოლელები ვასილ გიგიაძის შემცვლელად ახალწვეულ ზურაბ იონანიძეს მიიჩნევენ

სიონი უეფას თასის ფინალში გაიყვანეს

გუშინ ბოლნისში უეფას მზირი, ჰოლანდიელი კარელ ვერგონტენი ჩავიდა, რომელსაც ქვემოქართლელთა საუეფასთასო სამზადისი უნდა შეემოწმებინა.

„სიონი“ 28 აგვისტოს სლოვაკურ „პუხოვს“ მასპინძლობს და საამმატჩოდ შინაური სარბიელის მოწესრიგებას შეუდგა. ერთ თვეში ბოლნისელებმა შეუძლებელი შეძლეს და სტადიონი ევროსტანდარტებს მიუახლოვეს. ოფიციალურად ჯერაც არ არის გადაწყვეტილი, ჩატარდება თუ არა „სიონი“ — „პუხოვის“ მატჩი ბოლნისში, საბოლოო პასუხს უეფა იტყვის, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, ნიონში ბოლნისელთა გასახარ გადაწყვეტილებას მიიღებენ. ამის თქმის საფუძველს ვერგონტენის სიტყვები გვაძლევს. „არ მოველოდი, თუ ბოლნისში ასეთი სამზადისი დამხვდებოდა. ბევრი უშრომიათ და ნაყოფიერადაც. გასაკეთებელი კიდევ დარჩა, თუმცა არც იმდენი, 28 აგვისტოსთვის ვერ მოესწროს. მართალია, პატარ-პატარა შენიშვნები მაქვს, მაგრამ მთლიანობაში კმაყოფილი ვარ და ჩემს დასკვნას უეფაში წარვადგენ. ამის საფუძველზე კი, დიდი შანსია, „სიონს“ შინ თამაშის უფლებას მისცენ“ — თქვა ჰოლანდიელმა.



ბაბრი ჯეიმსის ფოტო

დიდი შანსია, „სიონმა“ „პუხოვს“ გაახლებულ „თემურ სტეფანიაზე“ უმასპინძლოს

უეფას ემისარს ბოლნისში მომზადებულნი დახვდნენ. მშენებლები ჩვეულად საქმიანობდნენ, სტადიონი გაკრეჭილ-დახაზული იყო. ქვემოქართლელებმა ახალი კარებების ჩასმაც მოასწრეს მოედანზე, ჰოლანდიელს 4-ათასიანი ტრიბუნებიც გაწყობილი დახვდა. ვერგონტენმა გასახდელები და საშხაპეებიც მოიწონა, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეაო, თქვა და მოედნის კიდეების ზომვას შეუდგა. ტრიბუნებს და სათამაშო ზოლს შორის დაშორება განსაზღვრულზე ცოტათი ნაკლები კი აღმოჩნდა, მაგრამ ბოლნისელებმა სტუმარს აღუთქვეს, ამ პრობლემას რამდენიმე დღეში მოვაგვარებთო და ჰოლანდიელმაც იმედიანი სიტყვები დაუტოვა მასპინძლებს, თუკი ამ სტადიონის მშენებლობას დროულად დაასრულებთ, ფინალამდე აქ თამაშის პრობლემა არ გექნებათო.

გუშინ საღამოს ჰოლანდიელი სტუმარი სფფ-ის გენერალურ მდივანს ვალერი ჩოლარიას შეხვდა.

პაატა კვანტალიანი

ინტერტოტოს თასი 2003. I ეტაპი

ბადრი ჯალიაშვილის ფოტო

გოლი, რომელმაც „ვიტ ჯორჯია“ თბილისში დატოვა

პაშინგი ყველაფერში სწორი იყო

კახა შალამბერიძე

ქართული საკლუბო ფეხბურთი ისევ ძველ დინებას მიჰყვება, იქიდან თავის დაღწევისა არაფერი ეტყობა და გულშემატკივრებშიც მხოლოდ სინანულს ტოვებს.

„ვიტ ჯორჯია“ წლეულს პირველი ქართული კლუბია, ევროსეზონი რომ დაიწყო და დაასრულა. ვეტერინარებმა ერთი ეტაპის გავლაც ვერ შეძლეს, არადა, შეუძლებელი რომ არაფერი იყო, ეს შაბათს „ეროვნულზე“ ვნახეთ. „ვიტ ჯორჯია“ გაავდო გუნდმა, რომელიც არაფრით აღემატებოდა მას. საშუალოზე დაბალი დონის ავსტრიული „პაშინგი“ გადაულახავი ზღუდე გამოდგა. თუმცა „პაშინგის“ წარმატება არც უნდა გვიკვირდეს, შარშანდელი ინტერტოტოდან ხომ „ვიტ ჯორჯია“ ავსტრიელებზე გაცილებით სუსტმა ბელგიურმა „ლოკერენმაც“ დაიფრინა...

მაინც რა შთაბეჭდილება დაგვიტოვა „პაშინგმა“? განსაკუთრებული არაფერი. ეს არის ტანმაღალი ბიჭების კრებული, რომელშიც ორი-სამი სხვათაგან გამორჩეული ფეხბურთელიცაა, ასრულებს მწვრთნელის დავალებას და თამაშობს სწორ, თუმცა საკმაოდ პრიმიტიულ ფეხბურთს.

ვფიქრობ, „პაშინგმა“ სწორედაც რომ სწორი ფეხბურთით აჯობა „ვიტ ჯორჯიას“. და კიდევ, ფსიქოლოგიური განწყობით, რაზეც ქვემოთ გავამახვილებ ყურადღებას.

თამაში აუჩქარებლად დაიწყო. ჯანი კარნევალიმ მეტოქეს საკმაოდ ფრთხილი ტაქტიკა დაუპირისპირა, აშკარა იყო, იტალიელი მცველთა ყოჩაღობას და ნახევარმცველთა მობილურობას ითხოვდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ვეტერინარები ოდნავ დაბნეულები ჩანდნენ, თუმც პირველი სახიფათო შეტევა მათი იყო. მე-11 წუთზე სიცხისგან თვალმიბნედილი მაყურებელი დიღმელაშვილ-მელქაძის კომბინაციამ გამოაფხიზლა, მაგრამ ვიტელთა ბომბარდირს დარტყმა არ გამოუვიდა, ისევე როგორც ოთხი წუთის მერე მეკარესთან თითქმის პირისპირ დარჩენილ ვლადიმერ გოჩაშვილს, ახალგაზრდა ოთარ მარცვალაძის კარგი პასი რომ ვერ შეიშნო.

ეს იყო და, „ვიტ ჯორჯიამ“ „შესვენება“ მოიწყო ანუ „პაშინგმა“ მოედნის ცენტრში იძალა და ხუთწუთიან ინტერვალში ავსტრიელთაგან საუკეთესო კრისტიან მაირლებს სამჯერ შეეძლო გატანა — მირზა მერლანმა სამჯერვე უშეცდომოდ ითამაშა.

ცხადი იყო, ავსტრიელები „ვიტ ჯორჯიას“ სუსტ წერტილებს ეძებდნენ და, სამწუხაროდ, პოულობდნენ კიდეც, თუმც მომდევნო სვლა ჯანი კარნევალისა იყო — ვეტერინართა იტალიელმა თავკაცმა 26-ე წუთზე მცველი ლევან მერებაშვილი პაატა დათუნაიშვილით შეცვალა, მარჯვენა ნახევარმცველი ოთარ მარცვალაძე თავდასხმაში ლევან მელქაძეს შეუწყვილა, გოჩაშვილი კი მოედნის ცენტრში დასწია და ვიტელებმაც ტაიმის მიწურულამდე იბატონეს მოედანზე. ამ დროში „ვიტ ჯორჯიამ“ ოთხი საგოლე შანსი გააცუდა — გამოუყენებელი მომენტები მელქაძ-მარცვალაძემ თანაბრად გაინაწილეს, თუმც ოთარის გაფუჭებული ერთი მომენტი ცალკეა აღსანიშნი: მირზა მერლანის დარტყმული ბურთი ყველას გადაახტა და... მარცვალაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა, თავზეც გადაუგდო ბურთი, მაგრამ კარში ვერ მოახვედრა.

ტაიმის ბოლო კი მასპინძელთათვის სახიფათო გამოდგა, მერლანმა ურთულესი ბურთი აიღო.

უსიამოვნო იყო მეორე ტაიმის დასაწყისიც. 48-ე წუთზე ბოზო კოვაჩევიჩს შეეძლო, ტრიბუნებზე მოკალათებული ხალხი სახლში წასვლაზე დაეფიქრებინა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა ვერ ივარგა. ხუთიოდ წუთში კი ლევან მელქაძემ ნანატრი გოლი გაიტანა. გოლი, რომლითაც ორი მატჩის ჯამში ანგარიში გათანაბრდა და ყველაფერი წინ იყო. ვიტელთა მეგოლის 22-25 მეტრიდან არცთუ ძლიერად დარტყმულს „პაშინგის“ მეკარე შიკლგრუბერმა „წაუბარტეზა“ — ბურთი ხელებიდან კარში შეუცურდა. შეცდომა ავსტრიელმა ქუდს „დააბრალა“, წამსვე მოიხადა და მოედანს გარეთ მოისროლა. ახლა მეტოქის მოგუდვა და მეორე გოლის გატანა თუ არა, ანგარიშის შენარჩუნება მაინც სჭირდებოდათ მასპინძლებს.

ვეტერინარებმა მეორე ბურთი კი გაიტანეს, მაგრამ ამ დროისთვის ყველაფერი დამთავრებული იყო. ეს გვიანი გოლი თბილისელებს არაფერში ადგებოდათ.

უკვე მერამდენე უცხოურმა კლუბმა თუ ნაკრებმა გვანახა, რომ გოლის გაშვება თამაშის დამთავრებას არ ნიშნავს. ასე იყო შაბათსაც. ქართველებმა კი, სამწუხაროდ, ეს ვერა და ვერ ვისწავლეთ.

სწორედ მელქაძის გოლის შემდეგ გამოჩნდა, რომ „პაშინგს“ თამაში და ბრძოლა არ დაუსრულებია. გუნდმა გაუშვა გოლი, თანაც სულელური, მაგრამ ყურების ჩამოყრას არ აპირებდა. მწვრთნელმა გეორგ ზელჰოფერმაც წამსვე ტექნიკური ატელაი შეუშვა მოედანზე. მან თამაშიც დაალაგა და 62-ე წუთზე ვიტელთა საჯარიმოს სიახლოვეს სახიფათო ჯარიმაც აჰკიდა მასპინძლებს. ჰორვატის დარტყმულს აუღებელი არ ეთქმოდა, მაგრამ... ანგარიში 1:1 გახდა.

აქედან მოყოლებული მატჩის ბოლო წუთებამდე სტადიონზე გინდ ყოფილიყავით, გინდ არა, საინტერესო არაფერი მომხდარა. მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე კი მელქაძის პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა ერეკლე მერებაშვილმა ლამაზი გოლი გაიტანა. „ვიტ ჯორჯიამ“ ბოლო წამებამდე იბრძოლა და 2:1 მოიგო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ იყო. მომდევნო ეტაპზე „პაშინგი“ ითამაშებს.



ბადრი ჯალიაშვილის ფოტო

ჯანი კარნევალი: რა უნდა ვთქვა, გაწბილებული ვარ. ავსტრიაში მეტოქეს პენალტი აჩუქეს, აქ კი ჩვენ არ დაგვიდეს. არადა, ეს მომენტი უფრო იყო საპენალტე, ვიდრე იქაური. ხუთი საგოლე შანსი მარცვალაძეს ჰქონდა, მაგრამ ვერ შეაგდო. რას ვიზამთ, ის პატარა ბიჭია, ჯერაც ბევრი აქვს სასწავლი. ასეთია ფეხბურთი. ვფიქრობ, არ გაგვიმართლა. მადლობას ვუხდი გულშემატკივარს, ისინი დღეს ძალიან დაგვეხმარნენ.

გეორგ ზელჰოფერმა ინგლისურის არცოდნა მოიმიზეზა და მოთამაშე *ჰელმუტ რაიგლერი* შეგვატოვა: პირველად ვართ ევროტურნირზე და ძალიან გვიხარია, რომ პირველი ეტაპი გავიარეთ. ბოლოსკენ გაგვიჭირდა. ავსტრიაში შედარებით იოლად გავედით ფინს. მეტოქე გუნდიდან ძალიან მომეწონა გველესიანი, მას კარგი ფეხბურთის თამაში შეუძლია. ვფიქრობ, ის უფრო ძლიერ კლუბსაც იმსახურებს.

თბილისი. 28 ივნისი. 18 საათი. ეროვნული. 5 000 (ტევადობა 70 900)

ვიტ ჯორჯია 2:1 პაშინგი

პირველი მატჩი 0:1

1:0 მელქაძე (53), 1:1 ბორვატი (62), 2:1 ე. მერებაშვილი (90)

ვიტ ჯორჯია: მერლანი, ლ. მერებაშვილი (დათუნაიშვილი 26), ინწკირველი (ავსაძე 65), ჯ. მუჯირი, გველესიანი, დ. დოლიძე, დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ვ. გოჩაშვილი (ე. მერებაშვილი 70), მელქაძე, მარცვალაძე
სათადარიგო: მამარდაშვილი; იმედაშვილი, ბოლქვაძე, ფეიქრიშვილი
მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

პაშინგი: შიკლგრუბერი, კიფკასი, ვიზიო, ბ. კოვაჩევიჩი, როტბაუერი, მ. ბორვატი (ბურენიკი 82), ბირხერი, რაიგლერი, დატორუ (ატალაი 58), კისენერერი (ვ. მაირი 73), მაირლუბი
სათადარიგო: ზაურერი
მწვრთნელი: გეორგ ზელჰოფერი

გაფრთხილება: დათუნაიშვილი (73), ნოზაძე (75)

მსაჯები: რ. მალეკი; კ. მირმუსი, ტ. რუსეკი (სამივე პოლონეთი); ა. შილაკაძე (საქართველო)

ჯარიმა: 17-18; **კუთხური:** 4-3; **კარისკენ დარტყმა:** 5-6; **კარში დარტყმა:** 5-7; **თამაშგარე:** 0-0

ბადრი ჯალიაშვილის ფოტო

ბუბა დოლაბერიძის ფოტო

მირზა მერლანმა ერთი გოლი გაუშვა, იოზეფ შიკლგრუბერმა — ორი, თუმც საბოლოოდ სტუმრებმა გაიხარეს



ბადრი ჯალიაშვილის ფოტო

ლევან მელქაძე (მარჯვნივ) შაბათს „ეროვნულზე“ ერთ-ერთი საუკეთესო იყო

ინტერტოტოს თასი 2003

I ეტაპი. საპასუხო მატჩები

შემროკ როვერსი (ირლანდია)	1:0	*ოდრა* (პოლონეთი) (2:1)
უნიონი (ლუქსემბურგი)	1:1	*სუტიესკა* (სერბეთი) (0:3)
ტრანსი (ესტონეთი)	3:5დ.დ.(3:3)	*ოფკ* (სერბეთი) (3:3)
მარეკი (ბულგარეთი)	3:2დ.დ.(2:2)	*ვიდეოტონი* (უნგრეთი) (2:2)

ლ. ლუბენოვი (27), 2:0 დეონისიევი (42), 2:4, 2:2 ფილდგში (48, 60), 3:2 შემროკი (93)
მატჩის: ოდრაში, კოტეკი, ლაზარევსკი, დეონისიევი, ი. კოზლიკოვი, ლიუბენოვი (მიტასკა 77), სტოიკოვი, ბარეკოვი (ბობიშკოვი 66), ბ. შემროკი, ა. კოზლიკოვი, კირილოვი (ბეტკოვი 48)
მატჩისფიფა: შემროკი, სტოიკოვი, ბობიშკოვი, ი. კოზლიკოვი
მწვრთნელი: ლუბომირ ტრაიკოვი

*ჩა

REUTERS ელჩედან

მალიორკელებმა სათასო „დავლური“ დაუარეს

ღმერთთან და მეფესთან ახლოს

ესპანეთი

სამეფო თასის ფინალი

მალიორკა 3:0 უელვა

1:0 პანდიანი (19ბ), 2:0, 3:0 ეტოო (73, 84)

მალიორკა: ლეო ფრანკო, კორტესი, ფ. ნინო, ნადალი, პოლი, ნოვო, იბაგასა (მარკოსი 85), არონდ ლოზანო, რიერა, პანდიანი (კარლოსი 81), ეტოო (კამპანო 87)

მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო

უელვა: ლუკე, მერინო (არპონი 69), ლორენი, ალექსი, პერნია, ხავი გარსია, ბერმეხო (ხისკო 40), კამაჩო, ბენიტესი (ფოროზინიო 78), ვიკეირა, რაულ მოლინა

მწვრთნელი: ლუკას ალკარასი

გაფრთხილება: ლორენი, მერინო, ხავი გარსია, პანდიანი

მსაჯი: იტურალდე გონსალესი

37 000 მაყურებელი

ელჩეს „მარტინეს ვალეროზე“ „მალიორკამ“ როგორც იქნა მოიგო სამეფო თასი. როგორც იქნაო, ვთქვით, რადგან კუნძულელები აქამდე ორჯერ გავიდნენ ფინალში და ორჯერვე დამარცხდნენ: 1991 წელს „მალიორკას“ „ატლეტიკომ“ სძლია, ხოლო 98-ში „ბარსელონამ“ პენალტების სერიაში მოუგო. ამგვარად, 87-წლიან ისტორიაში მალიორკელებმა მეორე ჯილდო მოიგეს. კი მაგრამ, აქამდე ხომ არც სამეფო თასი მოუგია და არც ჩემპიონი გამხადარა? საქმე ის გახლავთ, რომ 1998 წელს „ბარსელონამ“ დუბლი შეასრულა და სუპერთასზე დამარცხებულ ფინალისტს შეხვდა.

წლევანდელი ფინალის გმირი კი კამერუნელი სამუელ ეტოო გახდა, ვინაც ჯერ პენალტი მოინადირა, მერე კი ორი გოლი თავად გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ეტოო საფრანგეთში გახლდათ კონფედერაციათა თასზე სათამაშო, ამ მატჩისთვის საგანგებოდ დაბრუნდა ესპანეთში და სამეფო თასის მოგების შემდეგ ისევ საფრანგეთში დაბრუნდა სანაკრებო ფინალის სათამაშოდ.

და რაკი კონფედერაციათა თასი და კამერუნი ვახსენეთ, არ იქნება, მარკ ვივიენ ფოეც არ ვახსენოთ. „ჩემი მეგობარი ახლა ღმერთთანაა და ამ გამარჯვებას მას ვიუქნი“ — თქვა ეტოომ.

ცხადია, თასის ფინალი ისეთი რამაა, როგორ ვთქვათ, რომელიმე გუნდს უფრო მეტად უნდოდა მოგებაო, თუმცა „უელვასთვის“ გამარჯვებას მეტი ფასი ექნებოდა — გუნდი ხომ სეგუნდადივიზიონში გავარდა. მაგრამ დამსახურებაზე თუ ვილაპარაკებთ, „მალიორკა“ უფრო მეტად იმსახურებდა მოგებას. ერთი, რომ უფრო ძალიანი კლასის გუნდია და თან ფინალამდე ორივე შარშანდელი ფინალისტი — „რეალი“ და „დეპორტივო“ — დაამარცხა.

კუნძულელებმა თავიდანვე გამოაჩინეს კბილები, ეტოომ და იბაგასამ სახიფათოდ დასცხეს მეტოქის კარისკენ. ცოტაც და, ლორენმა ზედ მეკარის ბაქანზე წააქცია კამერუნელი და მსაჯმა იტურალდე გონსალესმაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. დარტყმა ვალტერ პანდიანიმ ითავა და ბურთი და მეკარე სხვადასხვა კუთხეებში გაგზავნა.

გოლის მერე, პირველი ტაიმის ბოლომდე რაღაც უაზრო თამაში გაჩაღდა. შეტევას ორივე გუნდი კი ლამობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ და ბურთი მეტწილად მოედნის შუაგულში ტრიალებდა. „მალიორკას“ კიდევ რა ენაღვლებოდა, იგებდა. საკუთარი გუნდის უილაჯობით შეწუხებულმა უელველთა მწვრთნელმა ალკისარმა კი ტაიმის მიწურულს მარიო ვერმეხო ხისკოთი შეცვალა და კინაღამ გაუმართლა — ხისკომ გამოსვლისთანავე გოლი გაიტანა, მაგრამ გაუუქმეს, მსაჯმა წესის დარღვევა შენიშნა.

შესვენების შემდეგ „უელვა“ უკეთ ათამაშდა, მაგრამ ჩემპიონატის მატჩებისა არ იყოს, სადაც ასევე არ უთამაშია ურიგოდ, შედეგი ვერ მოიმკო, „მალიორკა“ კარგად იცავდა თავს და არც იერიშებს ივიწყებდა, რომელთაგან ორიც გოლებით დასრულდა. ალბერტ რიერამ მოედნის ცენტრალური წრიდან ჩაწოდებული პასით გაიყვანა ეტოო მეტოქის საჯარიმოში და კამერუნელის საგოლე დარტყმას ვერც მეკარე ლუკე გადაეღობა. მატჩის ბოლო გოლი კი ეტოომ ზედ ხარიხას ქვევით ჩააჭედა.

ახლა „მალიორკა“ „ვალენსიასთან“ და „ბარსელონასთან“ ერთად უეფას თასზე ითამაშებს.

გიორგი დარჯანია

REUTERS ელჩედან

სამუელ ეტოო „მალიორკას“ ორი გოლით შეეწია

ნავა?

ალუმინერტს ფაქსით უფულობა აცნობეს

ხვალ ალბათ საბოლოოდ გადაწყდება, დარჩება თუ არა პატრიკ კლუივერტი „ბარსელონაში“. დღეს კი შეგვიძლია ვთქვათ: ალბათ, წავა.

საქმე აი, რაშია: კლუივერტი „ბარსაში“ „მილანიდან“ 1998 წელს გადავიდა და კატალონიურ კლუბში 5 სეზონი უკვე გაატარა. მისი კონტრაქტის თანახმად კი კლუბი ვალდებულებას იღებდა, ხუთი წლის შემდეგ ფეხბურთელისთვის სპეციალური ბონუსის სახით 4.6 მილიონი ევრო გადაეხადა.

მაგრამ მოგეხსენებათ, „ბარსას“ ხელმძღვანელობა ამ წლების მანძილზე რამდენჯერმე შეიცვალა და ახალ უფროსობას ძველის ვალდებულებების შესრულება არ სურს. ამიტომაც კვირას კლუივერტის წარმომადგენელს ფაქსით აცნობეს, ბონუსის გადახდაზე უარს ვამბობთო და საბოლოო მოლაპარაკებისთვის დროდ ოთხშაბათი დაუთქვეს.

ახლა რა ხდება: რაკი კლუბი ფეხბურთელს ბონუსს არ უხდის, ესე იგი, კონტრაქტის პირობებს არღვევს. კონტრაქტში კი ერთი ასეთი მუხლიცაა: კლუივერტის კონტრაქტის გამოსყიდვა 36 მილიონი ევრო ღირს, მაგრამ თუ კლუბი თავად დაარღვევს შეთანხმებას, მაშინ ნებისმიერ მსურველს ჰოლანდიელის გადაბირება სულ რაღაც 1,8 მილიონ ევროდ შეეძლება.

და რა არის 1,8 მილიონი კლუივერტში? არაფერი! მით უმეტეს, მისით „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“ არიან დაინტერესებულები.

გიორგი დარჯანია

ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი

XLII ტური

ოვიედო 1:2 ლევანტე

0:1 სერვუელო (40), 0:2 კონგო (55), 1:2 რაული (70)

სარაგოსა 1:3 სალამანკა

1:0 იორდი (28), 1:1 რობერტო (45), 1:2 რაულ სანჩესი (52), 1:3 პეპე დომინგო (86)

ბადახოსი 0:3 სპორტინგი

0:1 პულიდო (42), 0:2 კიდონჩა (51ს.კ.), 0:3 ისმაელი (90)

ნუმანსია 1:4 ხერესი

0:1 დელ პინო (6), 1:1 სესტელო (11), 1:2 მენა (33), 1:3 დელ პინო (45), 1:4 პინედა (78)

კომპოსტელა 1:0 მურსია

1:0 მაიველი (56)

ალმერია 1:1 პოლი ეხიდო

0:1 აირა (50), 1:1 ლუნა (70)

ფეროლი 0:1 ტენერიფე

0:1 ვილი (75)

ხეტაფე 1:1 კორდობა

0:1 მონტენეგრო (29), 1:1 ალბერტო (52)

ლას პალმასი 4:1 ელჩე

1:0, 2:0 რეგი (17, 27), 3:0 ტროტა (61), 4:0 ორლანდო (89ბ), 4:1 არნალი (90)

ეიბარი 2:0 ალბასეტე

1:0 მიგელი (62), 2:0 ხული სანჩესი (71)

ტერასა 2:0 ლეგანესი

1:0 ნავასი (7), 2:0 კრისტიანი (50)

მურსია	42	23	10	9	59:22	79
სარაგოსა	42	20	12	10	54:40	72
ალბასეტე	42	17	20	5	51:30	71
ლევანტე	42	16	17	9	59:44	65
ლას პალმასი	42	16	16	10	53:43	64
ხერესი	42	17	13	12	55:53	64
სალამანკა	42	14	18	10	44:32	60
ტენერიფე	42	13	18	11	53:39	57
კომპოსტელა	42	14	13	15	54:56	55
სპორტინგი	42	11	20	11	44:41	53
ხეტაფე	42	13	14	15	52:55	53
ნუმანსია	42	12	16	14	48:52	52
ტერასა	42	11	19	12	41:46	52
ეხიდო	42	12	16	14	36:45	52
კორდობა	42	12	14	16	36:38	50
ელჩე	42	12	14	16	49:52	50
ეიბარი	42	11	17	14	33:38	50
ალმერია	42	12	14	16	54:63	50
ლეგანესი	42	11	15	16	44:51	48
ფეროლი	42	11	13	18	40:60	46
ოვიედო	42	9	13	20	37:59	40
ბადახოსი	42	10	8	24	34:71	38

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

შვედეთი

მე-12 ტური: ლანდსკრონა — ელფსბორგი 2:1. ტურის დანარჩენი მატჩები წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა

იუტგორდენი	11	7	1	3	25:9	22
ჰამარბი	11	6	4	1	17:11	22
აიკ	11	6	2	3	20:13	20
იორებრო	11	6	1	4	19:18	19
მალმიო	11	5	3	3	17:12	18
ჰელსინგბორგი	11	5	3	3	14:14	18
ჰალმსტადი	11	5	2	4	18:15	17
ელფსბორგი	12	4	4	4	15:19	16
იორგრიტე	11	4	2	5	14:19	14
გიოტებორგი	11	3	4	4	17:12	13
ლანდსკრონა	12	3	4	5	14:18	13
სუნდსვალი	11	2	4	5	11:15	10
იოსტერი	11	2	2	7	10:20	8
ენკოპინგი	11	1	2	8	10:26	5

ნორვეგია

მე-12 ტური: ბრანი — ტრომსიო 0:1; რუსენბორგი — ბრინი 4:1; ალესუნდი — სტაბეკი 1:1; სოგნდალი — ბოდიო გლიმტი 2:1; ოდ გრენლანდი — ლილესტრიომი 5:0. ვიკინგი — მოლდე გადაიდო, ლინი — ვოლერენგა წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

რუსენბორგი	12	10	2	0	34:8	32
სოგნდალი	12	6	3	3	22:16	21
სტაბეკი	12	5	5	2	20:14	20
ოდ გრენლანდი	12	6	2	4	22:21	20
ბოდიო გლიმტი	12	5	4	3	17:13	19
ვიკინგი	11	4	6	1	19:12	18
ლინი	11	4	3	4	16:19	15
ვოლერენგა	11	3	4	4	14:13	13
ბრინი	12	4	1	7	22:22	13
ლილესტრიომი	12	2	6	4	10:21	12
მოლდე	11	3	2	6	13:19	11
ალესუნდი	12	1	6	5	16:22	9
ტრომსიო	12	2	3	7	16:28	9
ბრანი	12	1	5	6	11:24	8

ფინეთი

მე-10 ტური: ჰიკ — იარო 0:0; ჰამენლინა — კტპ 2:1; კუოპიო — იოკერიტი 2:1; ლაჰტი — ტურკუ 2:0. ინტერი — ჯაზი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

ჰიკ	10	6	3	1	17:7	21
ჰაკა	8	6	1	1	17:4	19
ტამპერე	9	6	0	3	13:8	18
ჰამენლინა	10	5	3	2	12:12	18
ალიანსი	8	5	2	1	20:11	17
მიუპა	9	5	2	2	15:6	17
ტურკუ	10	4	2	4	15:14	14
იარო	10	2	5	3	15:14	11
იოკერიტი	10	3	2	5	12:11	11
ლაჰტი	10	2	4	4	11:15	10
კტპ	10	3	0	7	13:21	9
ჯაზი	9	2	1	6	9:20	7
კუოპიო	10	2	1	7	12:27	7
ინტერი	9	1	2	6	8:19	5

კონფედერაციის თასი 2003. საფრანგეთი. 18-29 ივნისი

ფოეს ფინალი



REUTERS სურ. დენისიდან

ფინალისტებმა თასი ძმურად გაიყვეს და მარკ ვივიენ ფოეს ხსოვნას მიუძღვნეს

ფინალი

საფრანგეთი 1:0 დ.დ.(0:0) კამერუნი

1:0 ანრი (97)

საფრანგეთი: ბარტეზი, სანიოლი (ტურამი 76), დესაი, გალასი, ლიზარაზუ, ჟიული, პედრეტი, დაკური (ჯაპო 90), ვილტორდი (პირესი 65), ანრი, სისე

მწვრთნელი: ფაბ სანტინი

კამერუნი: კამენი, დიუმბე, სონგი, ატუბა, მეტომო, ჯერეში, ბბამი, მეზაგი (ემანა 91), იდრისუ, ნდიეფი (ეტოო 68), ჯემბა-ჯემბა

მწვრთნელი: ვინი შეფერი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

51 985 მაყურებელი

კამერუნის ფეხბურთის ჩინოსნები, მწვრთნელი და ფეხბურთელები მარკ ვივიენ ფოეს ხსოვნის პატივსაცემად ფინალში თამაშზე დაყაბულდნენ.

„ფიფას მხრიდან ზეწოლაზე საუბარი სისულელეა, გუნდმა თვითონ ისურვა. კამერუნის ნაკრებმა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა გადაწყვიტა. ჩვენ ბრაზილიის, თურქეთისა და კოლუმბიის წინააღმდეგ მატჩებში კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ. ფინალშიც იგივეს და, რა თქმა უნდა, გამარჯვებას ვაპირებთ. ალბათ თამაშზე ფრანგებიც დათანხმდებიან“ — თქვა ვინფრედ შეფერმა.

მწვრთნელს შეგირდებიც არ ჩამორჩნენ. ლუსიენ მეტომი: „აუცილებლად ვითამაშებთ. მარკის მეუღლეც იგივე გვთხოვა. უარი ღალატი იქნება“. ნაკრების კაპიტანი რიგობერტ სონგი — „ფინალი მარკის მიზანი იყო. ბიჭები თამაშზე შევთანხმდით“.

კამერუნელებს დროებით გაპარული „ლომი“ სამუელ ეტოო ესპანეთიდან შაბათს საღამოსვე დაუბრუნდათ. მისმა „შალიორკამ“ „უღალატა“ თასის ფინალში სძლია და ეტოომ დუბლი მიითვალა. მალიორკელი, ცხადია, გადაღლილი იყო. ვინფრედ შეფერმა იგი მოედანზე მეორე ტაიმის შუაში შეუშვა, მაგრამ ფორვარდი თავისიანებს გოლით ვერ შეეწია.

სანამ თავად მატჩზე ვიტყოდეთ, ემანუელ პეტის აზრსაც გავეცნოთ: „როდესაც ასეთი ტრაგედია ხდება, ფეხბურთი გვერდზე უნდა გადაიდოს, თუნდა კონფედერაციის თასის ფინალი იყოს“ — განაცხადა ჩელსელმა, რომლის ძმაც სამოყვარულო გუნდში თამაშობდა და 1988 წელს მოედანზე გარდაიცვალა.

აზრთა სხვაობის მიუხედავად, ფინალი პარიზში შედგა. კაპიტნები, მარსელ დესაი და რიგობერტ სონგი, მოედანზე მარკ ვივიენ ფოეს სურათით გავიდნენ. ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი მსაჯ-მოთამაშეებს ხელის ჩამორთმევით პირადად შეეგება. ტრიბუნაზე მიშელ პლატინი, პელე, როჟე მილა და სხვა სახელოვანი ადამიანები ისხდნენ.

ვინფრედ შეფერმა, კამერუნის სათადარიგოებმა და ნაკრების მომსახურე პერსონალმა ფოეს 17-ნომრიანი მაისურები ჩაიცვეს, რომელიც სამომავლოდ ალბათ გარდაცვლილი ფეხბურთელის სამუდამო საკუთრება გახდება და ნაკრებში მისით ვერავინ შეიმოსება.

მასპინძლებმა ჭირისუფალ კამერუნელებზე უკეთ რომ ითამაშეს, ეს გასაგებია. შეხვედრის პირველი ნახევრის დაახლოებით ოცდაათი წუთის მანძილზე ფრანგები ბურთს თავის გემოზე აგორებდნენ. ლუდოვიკ ჟიული, ტიერი ანრი და სანიოლიც კი ფინტაობას არ ერიდებოდნენ. „არსენალის“ მეგოლემ მცირე შედეგრიც გამოჩარხა. პერრიე დიუმბეს ბურთი გადაავლო და დაუშვებლად ჯიბრილ სისეს თავზე დაასვა. სისეს თავური კარს ოდნავ ასცდა.

ტაიმის ბოლოს მასპინძლებმა მოძრაობას უკლეს და კამერუნელები მოწინააღმდეგის საჯარიმოს დროებით გაუშინაურდნენ. ჯერემი ნჯიტაპის დარტყმული ფაბიენ ბარტეზმა მოიგერია, მერე პიუს ნდიეფიმ იაქტიურა და მოჰამადუ იდრისუ კარის წინ სამიოდ მეტრში ბურთიანად დატოვა. იდრისუს დაკრული ბურთი ისევ მეკარის ნადავლი გახდა. საგოლე მომენტების სიმწირის მიუხედავად, პირველი ნახევარი თვალსასაჩინო სანახავი იყო.

შესვენების შემდეგ ფრანგებს ჩვეულად დაღლა შეეპარათ, მაგრამ ტიერი ანრის მონდომების ხარჯზე აფრიკელებს მსუბუქად აწიოკებდნენ. ტაიმი ათიოდ წუთის განახლებული იყო, ჯიბრილ სისემ ანრის ვალი რომ დაუბრუნა. „მეთოფემ“ უძლურად დაჰკრა და ბურთმა ცარიელი კარის ძელთან ჩაისეირნა.

იქვე კამერუნელებმაც უპასუხეს. შეცვლაზე შესულმა ნამგზავრმა ეტოომ ორიოდ ადლიდან უეჭველი საგოლე მომენტი მიაფუჩეჩა. წუთის შემდეგ მეტოქის დარტყმული ფაბიენ ბარტეზმა გაჭირვებით გამოაძრო.

შეხვედრის ძირითადი დრო უგოლოდ მიილია, დამატებულში კი ტურნირის ბომბარდირმა ტიერი ანრიმ თავისი მეხუთე და გამარჯვების გოლი მუხლით გაიტანა.

„ეს სეზონი მთლიანობაში ჩემთვის ხვავრიელი იყო. 40 გოლი მივითვალე, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ის მახარებს, რომ 23 საგოლე პასიც მოვაქუჩე“ — თქვა „მეთოფემ“.

ნამატჩევს, ცხადია, მარკ ვივიენ ფოეს იხსენებდნენ და კამერუნის მთელი ნაკრები გარდაცვლილი ფეხბურთელის ნომრიანი მაისურით შეიმოსა. ისინი საგანგებო ფიცარნაგზე მედლების მისაღებად ავიდნენ, მარკის სურათიც წაიმძღვარეს და ცხონებულის წილი მედლით სურათის კუთხე შეამკეს.

ბრინჯაოს ხანა თურქეთში

ოსმალომ ფიფას 400 ათასი აუფცქვნა

მატჩი III ადგილისთვის

თურქეთი 2:1 კოლუმბია

1:0 თუნჭაი (2), 1:1 ერნანდესი (63), 2:1 ოკან ილმაზი (86)

თურქეთი: ომერი, ფათიბი (სელჩუკი 60), სერვეთი, დენიზი, იბრაჰიმ უზულმეზი, კარადენიზი, ჯოლქანი (ერგუნი 87), სერქანი, იბრაჰიმ ტორამანი, თუნჭაი, ნეჩატი (ოკან ილმაზი 66)

კოლუმბია: ო. კორდობა, გ. მარტინესი, იეპესი, ი. კორდობა, ბედოია, პატინო, ხ. ლოპესი (ვალენციერა 28), ერნანდესი, ველასკესი, არისტიზაბალი, ბეჩერა (არიაგა 41)

მსაჯი: მარკ შილდი (ავსტრალია)

18 237 მაყურებელი

თურქეთის ნაკრებისგან კარგი სამოსანი დადგა. შარშანდელ მუნდიალზე მოგებული ბრინჯაო და კონფედერაციის თასზე მესამე ადგილი თურქეთში ფეხბურთის სწორად განვითარებაზე მეტყველებს.

შარშანდელისგან განსხვავებით შენოლ გიუნეშმა საფრანგეთში ახალბედები გამოცადა და არც შემცდარა. კოლუმბიის წინააღმდეგ მან შემადგენლობა სრულად გადაახალისა. მისმა სახეცვლილმა გუნდმა სამხრეთამერიკელთა დამარცხება შეძლო.

ურიგო შთაბეჭდილება არც კოლუმბიელებს დაუტოვებიათ. ფრანსისკო მატურანას ნაკრებმა ყველას ღირსეული მეტოქეობა გაუწია და კონფედერატი გულშემატკივრის ტაშიც ალალად დაიმსახურა.

მესამეობისთვის მატჩი კოლუმბიელთა მეკარე ოსკარ კორდობას შეცდომით დაიწყო. უწყინარ ვითარებაში ბურთი თურქი მოთამაშის ლუკმად აქცია, რომელიც კორდობას ყელში გოლად გაეჩხირა. თუნჭაიმ ანგარიში აუღელვებლად გახსნა.

გამაოგნებელმა დასაწყისმა ამერიკელები ბუცებიდან დროებით ამოყარა. დაახლოებით ათ წუთში კი დალაგდნენ და თურქთა საჯარიმოშიც გაიელვეს. ყმაწვილ მცველ სერვეთ ჩეტინის დაბნეულობით მარიო იეპესმა ისარგებლა, თავურიც დაჰკრა, მაგრამ ომერმა მოიგერია.

ოსმალო უფრო მონდომებულად უტევდა, ბურთსაც მოქიშპეზე მეტხანს ფლობდა და საგოლე მომენტებითაც ოდნავ აჯობა. ტაიმის შუაწელში სერკანის ფეხიდან გასროლილს ოსკარ კორდობა დაუხვდა. მის მოგერიებულს გოკდენიზმა უხეიროდ დაამატა.

მოგვიანებით ისევ გოკდენიზმა მოსინჯა მეკარის რეაქცია. ოსკარ კორდობამ კვლავ იყოჩაღა და ხიფათი კუთხურზე მოისროლა.

კოლუმბიელებს შესვენებამდე გათანაბრება შეეძლოთ. მარიო იეპესმა პოზიცია კარგად შეარჩია, დაარტყა კიდეც, თუმცა ბურთი თურქი მცველის ფეხებს შეასკდა.

სამხრეთამერიკელებმა ნაცად ტაქტიკას არ უღალატეს და საიერიშოდ ძალები მეორე ტაიმისთვის შეინახეს.

ბურთმა ოსმალოთა საჯარიმოში საკმაო ხანს დაჰყო. მეკარე, მცველები და იღბალი კოლუმბიელთა შტურმს ერთად იგერიებდნენ. ორჯერ არეულობაში კარის ჩარჩოც გაერია, მაგრამ გოლი მაინც გავიდა.

საამოდ ნაქსოვმა მრავალსვლიანმა კომბინაციამ ომერის კარს ყადაღა ასხნა. ვიქტორ არისტიზაბალის პასი ერნანდესმა გოლად აქცია და ანგარიში გაათანაბრა.

მატჩის დარჩენილ დროში ორივე გუნდს არაერთხელ შეეძლო გატანა, რადგან მეტოქეებმა დაცვას წაუყრუეს და თვალი ერთურთის კარისკენ მიაპყრეს.

ასეთ ვითარებაში საბოლოოდ შეცვლაზე შესულმა ოკან ილმაზმა ივარგა. მან საფრანგეთის ნაკრებთან ნახევარფინალურ მატჩში თერთმეტმეტრიანი დარტყმა გააფუჭა და ახლა შეცდომა გარკვეულწილად გამოასწორა, საჯარიმოს ხაზის სიახლოვეს ბურთი მიიღო და ოსკარ კორდობას კარში შეაპარა.

თურქეთის ნაკრებმა მესამე ადგილისთვის ფიფასაგან 400 ათასი დოლარი მიითვალა, რომელსაც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია მოთამაშეებს კვირის ბოლომდე დაუნაწილებს.

გარდა ამისა, თურქთა ორწლიანი წარმატებული წინსვლა სპონსორებსაც თვალში მოსვლიათ და „ნაიკი“ მათთან 5-წლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს, რომლის სანაცვლოდაც 15 მილიონ დოლარს გაიღებს.

REUTERS სურ. ანიუნისიდან

ფენერბაჰჩელმა თუნჭაიმ ბეშიქთაშელი კორდობა არ დაინდო

მიზეზი?

მარკ ვივიენმა ლუიზა ქვრივად დატოვა

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ჩინოვნიკები კამერუნელი ფეხბურთელის სიკვდილმა ააფორიაქა. ისინი სეზონში მატჩების რაოდენობის შემცირებაზე ფიქრობენ.

„ახლა ფეხბურთში საკმაო ფული ტრიალებს და ზედმეტი ტურნირები საჭირო აღარაა. იცით, რა მაინტერესებს? — მარკ ვივიენ ფოე კონფედერაციის თასზე თამაშის ნაცვლად, სადმე ზღვის ნაპირზე რომ ყოფილიყო, ცოცხალი იქნებოდა თუ არა? კონფედერაციის თასის ფინალში გასულმა გუნდებმა 11 დღეში, სიცხეში, ხუთ-ხუთი შეხვედრა გამართეს, განა ეს ნორმალურია? ადამიანის ორგანიზმს დასვენება სჭირდება და ეს პირველი რიგში ფიფამ უნდა შეიგნოს, რომელიც მხოლოდ საკუთარი ჯიბის ამოვსებაზე ფიქრობს“ — აღელდა ინგლისელი გორდონ ტეილორი და არც ტყუის.

მხოლოდ სანაკრებო კი არა, საკლუბო დონეზეც ბევრია შესაცვლელი. არაფრისმომცემი ტურნირები კიდევ უფრო ფიტავს და აძვალტყავებს ფეხბურთელებს.

მარკ ვივიენ ფოეს გარდაცვალების მიზეზები ჯერ ისევ ვერსიების დონეზეა. აი, ოთხი მათგანი:

1. ამინდი — მატჩის დღეს ლიონში ჩრდილში ტემპერატურამ პლუს 37-ს უწია. საღამოს, შეხვედრის დაწყების წინაც ხვატი იდგა. გადატვირთულმა კალენდარმა ფეხბურთელებს ძალების სათანადოდ აღდგენის საშუალება არ მისცა. ფოემ ნახევარფინალის წინა დღეს ლიონის ტელევიზიას ადრე შეთანხმებულ ინტერვიუზე უარი უთხრა, თავს შეუძლოდ ვგრძნობო. არადა, გუნდის ექიმი მატჩის შემდეგ ამტკიცებდა, კუჭის ტკივილისგან მოვარჩინეთ და საღამოს აღარაფერს უჩიოდაო.

2. გული — ფეხბურთელს სისხლძარღვთა თანდაყოლილი ანევრიზმა სჭირდა და საფრანგეთის ნაკრების ექიმის თქმით, გულიდან გამომავალი არტერის კედლის შეთხელებამ და გახეთქვამ უეცარი სიკვდილი გამოიწვია. ნაკრების ექიმს ლიონის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმომადგენელი არ დაეთანხმა, გული გამორიცხულიაო.

3. ექიმების დაუდევრობა — ფიფას თეთრხალათიანები მოედანზე ზოზინით შევიდნენ, თანაც კოლუმბიელი კოლეგების დაჟინების შედეგად. თვითმხილველის, კამერუნელი კარდიოლოგის კომენტარი: „თქვენ დააკვირდით ფეხბურთელი საკაცეზე როგორ დააწვინეს? გზაში კინაღამ გადმოუვარდათ! გულის მასაჟი და ხელოვნური სუნთქვა მოედანზე მყოფს რატომ არ ჩაუტარეს? სტეტოსკოპით მაინც მოესმინათ, გული უცემდა თუ არა. ამაზრზენი არაპროფესიონალიზმია!“



თავდაპირველად ითქვა, რომ მარკ ვივიენ ფოემ მინდორზევე დალია სული, რასაც კოლუმბიელი ექიმი უარყოფს. იგი საკაცეს თან მიჰყვებოდა და ამტკიცებს, რომ ფეხბურთელმა წამოდგომაც კი სცადა.

4. მკვლელობა — ამ ვერსიის ავტორი კამერუნის ნაკრების ყოფილი მეკარე ჟოზეფ ანტუან ბელი გახლავთ: „რამდენადაც ვიცი, ფოე მატჩის წინ ისე ცუდად იყო, რომ თამაში იუარა, მაგრამ ვილაცა სტიმულატორებით „დაეხმარა“ და ფაქტობრივად სასიკვდილოდ გაიმეტა“.

ინგლისური „სანი“ მარკ ვივიენ ფოეს ქვრივს ფეხბურთელის შესახებ დაეკითხა. მარია ლუიზას პასუხი:

„მას არ უნდა ეთამაშა კოლუმბიის წინააღმდეგ. კუჭ-ნაწლავი ვერ ჰქონდა წესრიგში, ინფექცია შეეყარა, მაგრამ მშობლიური „ლიონის“ სტადიონზე გასვლა ძალიან ეწადა. ექიმს მეტი ყურადღება მართებდა“.

კამერუნის ნაკრების დასტაქარმა ოლივიე ანელკამ [illegible] უარყო:

„მატჩამდე სამი დღით ადრე მარკს წვრილი ნაწლავის ანთება ჰქონდა, მკურნალმა ძალე მოკეთდა. სისხლის ანალიზმა დადებითი პასუხი მოგვცა. ნახევარფინალის წინა დღეს გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ივარჯიშა. რაც შეეხება ზოგიერთის მიერ წამოყრანტალებულ სტერეოიდებს, გეტყვით, რომ ჩვენ მოთამაშის ხსოვნას პატივი უნდა ეცეს და სპეკულაციას შევეშვათ [illegible] პროფესიონალი გახლდათ [illegible] გამორიცხულია“.

კამერუნის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კინაურედ შეფერმა გაიხსენა:

„მე და გუნდის ექიმმა შევამჩნიეთ, რომ მოედანზე მარკმა აშკარად უჭლო და მისი შეცვლა გადაწყვიტეთ, კაცნაკლული დავრჩით და კოლუმბიელთა შეტევების მოსაგერიებლად ახალი ძალის შეყვანა გვჭირდებოდა. ფეხბურთელმა შეცვლა იუარა და ორიოდ წუთში კიდეც დაეცა“.

სიკვდილის მიზეზის დასადგენად ექსპერტები მუშაობენ.

ვაჟა ხუციშვილი

გაზაევი შვეიცულეგაში ოთხით გაუშვეს

რუსეთი

პრემიერლიგა. XV ტური

ზენიტი 4:1 ცსკა

0:1 იანოვსკი (23), 1:1 კირიეე (25), 2:1 სპივაკი (45ა), 3:1 რადიმოვი (55), 4:1 კერჟაკოვი (81)

დინამო 1:1 სატურნი

0:1 როგაჩოვი (22), 1:1 ჰანეკი (66)

რუსთა ჩემპიონატის პირველი წრე ლიდერის დარბევით დასრულდა. ვალერი გაზაევის ცსკა-ში მუშაობის ეპოქაში არმიელები ასე მწარედ არასოდეს დამარცხებულან. ეს წაგება ალბათ უფრო გადაღლილობითია და ყურადღების მოდუნებითაა გამოწვეული. ცსკა-მ ჩემპიონატი ხომ რიხით დაიწყო, უახლოესი მდევრებიც გვარიანად ჩამოიშორა და, როგორც ჩანს, ფეხბურთელებს მოტივაციის დეფიციტი გაუჩნდათ.

სანკტ პეტერბურგში მატჩის წინ „ზენიტის“ ჩეხი მწვრთნელის, ვლასტიმილ პეტრჟელას გადადგომაზე, კლუბის პრეზიდენტ ვიტალი მუტკოს წასვლაზე და ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთა გასხვისებაზე ლაყბობდნენ, რადგან მატჩიდან მესამე დღეს (30 ივნისს, ანუ გუშინ) კლუბის აქციონერთა კრებას ჩეხი სპეციალისტის მუშაობა უნდა შეეფასებინა.

ცსკა-ს ბოლო ალექსანდრ კერჟაკოვმა (მარჯვნივ) მოუღო

ვლასტიმილ პეტრჟელამ ვალერი გაზაევის გუნდი დააჩოქა და აქციონერების სავარაუდო პრეტენზიები 90 წუთში მოსპო.

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში მოსკოველებმა გახსნეს, „ზენიტმა“ პირველივე ტაიმში გამონახა ძალები მეტოქის დასაჩაგრად. არმიელთა ერთადერთი გოლი ტაიმის შუაწელში ოლეგ იანოვსკის თავურით გავიდა. მსაჯმა გოლი ჯერ არ ჩათვალა, წესის დარღვევა შეენიშნეო. მოსკოველებმა გააპროტესტეს და არბიტრმაც გადაწყვეტილება შეცვალა — ჩათვალა. შედეგად მასპინძლები აუხირდნენ და ზენიტელებმა ბურთის წაღებაც კი არ ისურვეს ცენტრში თამაშის დასაწყებად. ეს საქმე თავად სასტვენიანმა იკისრა

მოგვიანებით მსაჯს ერთი სასეირო შეცდომაც მოუვიდა. მასპინძელ დენისოვს ჯერ ყვითელი ბარათი აუფრიალა, ზედ კი წითელიც მიაყოლა. არადა, დენისოვისთვის ეს პირველი ყვითელი აღმოჩნდა და გაოგნებულმა ფეხბურთელმა ახსნა-განმარტება მოითხოვა.

ცსკ-ას კარში გატანილი პირველი და მესამე გოლები ვალერი გაზაევმა მანდრიკინის შეცდომებს დააბრალა და რადიმოვის გოლის შემდეგ მეკარე ახალბედა აკინფეევით შეცვალა. მოსკოველებს ამანაც ვერ უშველა — ალექსანდრ კერჟაკოვმა ზუსტი დარტყმით მასაც გაუტანა და ანგარიში ოთხამდე გაზარდა.

იმავე დღეს გამართულ მეორე მატჩში ცსკ-ას მდევრებმა არმიელთა გასახარად ფრედ ითამაშეს და ექვსქულიანი სხვაობა ორი კვირით შენარჩუნდა.

რუსეთის ჩემპიონატი თორმეტდღიან შვებულებაშია და ამ ხნის მანძილზე უმეტეს გუნდებში ბევრი ტრანსფერია მოსალოდნელი.

ვაჟა ხუციშვილი

ცსკა	15	10	3	2	28:16		33
სატურნი	15	7	6	2	22:13		27
დინამო	15	7	4	4	28:17		25
ზენიტი	15	7	3	5	18:18		24
რუბინი	15	6	5	4	21:14		23
შინიკი	15	5	8	2	21:14		23
კრილია	15	5	6	4	18:13		21
ლოკომოტივი	15	6	3	6	20:20		21
როსტოვი	15	5	6	4	15:20		21
ტორპედო	15	5	5	5	16:16		20
ჩერნომორეცი	15	4	6	5	17:19		18
სპარტაკი	15	4	4	7	18:22		16
როტორი	15	4	4	7	16:20		16
ურალანი	15	3	5	7	9:20		14
ალანია	15	4	0	11	9:28		12
ტ. მეტალურგი	15	2	4	9	11:17		10



რივერელებმა ჩემპიონობა ბოლოს წინა ტურში გაიზეიმეს

რივერმა კლაუსურა ისურვა და ...

არგენტინა

კლაუსურა, XVIII ტური

რასინგი — ჩაკარიტა 2:2; ბანფილდი — როსარიო 0:0; სან ლორენსო — ტალიერესი 2:2; ოლდ ბოიზი — კოლონი 0:2; უნიონი — ნუევა ჩიკაგო 1:3; ბოკა ხუნიორსი — ინდეპენდიენტე 3:1; ველესი — ესტუდიანტესი 0:1; ლანუსი — არსენალი 0:1; ხიმნასია — ურაკანი 2:0; ოლიმპო — რივერ პლეიტი 0:2

„რივერ პლეიტი" გახდა არგენტინის ჩემპიონი კლაუსურას ბოლოსწინა ტურში, მას შემდეგ, რაც 2:0 მოუგო „ოლიმპოს", „ველეს სარსფილდმა" კი შინ წააგო „ესტუდიანტესთან".

„ესტუდიანტესმა" იმარჯვა ჭაბუკი ხოსე სოსას პირველ ტაიმში გატანილი თამაშის ერთადერთი გოლით — „ველესმა", კი ამ მარცხით „რივერის" დაწევის ყოველგვარი შანსი დაკარგა ბოლო ტურის წინ. ხოლო „ესტუდიანტესი" მერვე თამაშია წაუგებელია მწვრთნელ კარლოს ბილარდოს ხელქვეით.

ბოლო ტურის წინ „რივერი" ოთხი ქულით უსწრებს „ბოკა ხუნიორსს", რომელიც ხვალ შეიძლება ლიბერტადორესის თასის მფლობელიც გახდეს „სანტოსთან" საპასუხო მატჩის შემდეგ, ხოლო „ველესს" კი ხუთით.

საჩემპიონო მატჩში პირველი გოლი ვიქტორ საპატამ გაიტანა. საპატა შეცვლაზე ოთხი წუთის შესული იყო, როცა ორ მცველს შუა გაძვრა და მოხდენილად გაიტანა ბურთი ძელსა და მეკარე ხორხე ვივალდოს ხელს შუა.

მეორე გოლი დიეგო არმანდო ბარანდამ გაიტანა, რომლის მამაც რივერელთა მოსისხლე „ბოკას" გიჟმაჟი გულშემატკივარია და შვილსაც მარადონას პატივსაცემად დაარქვა დიეგო არმანდო.

„ჩვენ ძალიან ბედნიერები ვართ", თქვა „რივერის" ჩილელმა მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ, რომელსაც აპერტურას მიწურულს და კლაუსურას დასაწყისში კინაღამ ორჯერ დაატოვებინეს თანამდებობა ცუდი შედეგების გამო.

„ბოკა" კი ორი კვირაა აღარ იბრძვის ჩემპიონობისთვის და ახლაც ისევე როგორც წინა ტურებშია დუბლიორები გამოიყვანა, თუმცალა მინც მოუგო კლაუსურაში გაჭირვებულ, აპერტურაში კი ჩემპიონ „ინდეპენდიენტეს", რომელსაც მწვრთნელის შეცვლამაც ვერ უშველა.

ოსკარ რუჯერის ხელქვეით „ინდეპენდიენტემ" ერთადერთხელ მოიგო, „ბოკასთან" კი 1:3 წააგო და ცხრა კაცით დაასრულა თამაში, რადგან თითო ტაიმში გაუძევეს ფედერიკო დომინგესი და დიეგო კასტანიო.

„ბოკას" კი სხვა ფიქრები აქვს, გუნდი მეტად ახლოა ლიბერტადორესის თასთან: საშინაო მატჩი ბრაზილიის „სანტოსთან" 2:0 მოუგია და ხვალ გასვლით შეხვედრაში ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს.

ონორიო გუსტოს დოგეკი

რივერ პლეიტი	18	13	4	1	42:15	43
ბოკა ხუნიორსი	18	12	3	3	34:16	39
ველესი	18	12	2	4	27:11	38
როსარიო	18	9	7	2	21:17	28
კოლონი	18	6	8	4	18:14	26
ნუევა ჩიკაგო	18	7	5	6	29:30	26
სან ლორენსო	18	7	5	6	26:28	26
ესტუდიანტესი	18	6	7	5	22:18	25
ხიმნასია	18	7	4	7	21:26	25
ლანუსი	18	7	3	8	26:28	24
რასინგი	18	5	7	6	23:23	22
არსენალი	18	4	9	5	12:13	21
ტალიერესი	18	5	5	8	22:25	20
ბანფილდი	18	5	5	8	15:20	20
ოლდ ბოიზი	18	4	7	7	19:25	19
ინდეპენდიენტე	18	4	6	8	13:24	18
უნიონი	18	4	5	9	18:27	17
ჩაკარიტა	18	2	5	11	10:22	11
ურაკანი	18	1	3	14	12:45	6

ქალებმაც კაცურად უსტვინეს

ბრაზილია

30-ე ტური: გუარანი — სან პაულუ 0:1; კორინთიანსი — ფლუმინენსე 1:1; კრისიუმა — პალმეირაზ 2:1; ვიტორია — ატლ. პარანენსე 1:1; სანტოსი — ბაია 4:1; გრემიო — ფლამენგო 1:1; კურიტიბა — სან კაეტანო 2:1; ფორტალეზა — ვასკუ და გამა 0:1; ფლამენგო — ფიგეირენსე 0:2; კრუზეირო — ინტერნასიონალი 3:2; პარანა — ატლ. მინეირო 1:1

კვირას ბრაზილიაში ფეხბურთის ისტორიის უცნაური და მგონი საინტერესო ფურცელი შეივსო.

„გუარანისა" და „სან პაულუს" მატჩი ქალთა ბრიგადამ იმსაჯა. ასეთი რამ აქამდე არასოდეს მომხდარა.

მთავარ მსაჯად იყო რეგინა ოლივეირა, ასისტენტებად ალინე ლამბერტი და პაულა ოლივეირა.

რეგინამ რვა ყვითელი ბარათი ააფრიალა, გვერდითმა მსაჯებმა კი ორი გოლი არ ჩაუთვალეს მასპინძელ „გუარანის", რის შედეგადაც „სან პაულუმ" 1:0 მოიგო.

მაყურებლებმა მსაჯებს უსტვინეს, „გუარანის" ფეხბურთელები კი ლამბერტს მიესიენ, დროშა რატომ აგვიწიეო, თუმცა, ტელეგამეორებებმა დაადასტურა, რომ ქალები მართლები იყვნენ.

ქალები ასევე მართლები იყვნენ, როცა პაულოელ ფაბიო სიმპლისიოს გოლი ჩაუთვალეს „გუარანელთა" პროტესტის მიუხედავად, თამაშგარე იყო.

„მათ კარგად იმსაჯეს. პრობლემა სხვაა, ისინი სხვა სქესისანი არიან" — თქვა ძველმა მსაჯმა კლაუდიო სერდეირამ.

„სულაც არ მომეწონა — ბურტყუნებდა „გუარანის" მწვრთნელი პეპე — რვა წუთი მაინც უნდა დაემატებინათ, რადგან სტუმრების მეკარე როჟერიო სენის დრო გაყავდა. საერთოდ, „სან პაულუს" სასარგებლოდ იმსაჯეს".

ამ მარცხით „გუარანი" მეთექვსმეტე ადგილზე ჩამოვარდა, „სან პაულუ" კი მეორეზე გადავიდა. პირველი კი კვლავ „კრუზეიროა", რომელმაც 3:2 მოუგო „ინტერნასიონალს". ამ თამაშით დაიწყო „კრუზეიროს" მწვრთნელ ვანდერლეი ლუშემბურგოს ერთთვიანი ყოფნა ტრიბუნაზე, რასან მას მწვრთნელის სკამზე ჯდომა აეკრძალა. კრუზეიროელმა დეივიდმა დუბლი შეასრულა და 12 ბურთით მთავარმეგოლეთა სიას ლიდერობს.

„ფლუმინენსემ" 0:1 წააგო „კორინთიანსთან", ყატარიდან მობრუნებულმა რომარიომ კი, რომელმაც ბოლო ორ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა, ტრავმა მიიღო.

„სანტოსი", რომელსაც ხვალ ლიბერტადორესის თასის ფინალის მცირე სამასუხო მატჩი ელის, „ვილა ბელმორაზე" „ბაიას" არ გაუჭირდა, 4:0 მოიგო და მესამე ადგილზეა.

„ვიტორიას" ახალმა მწვრთნელმა ედენიომ გამარჯვებით დაიწყო ახალი სამუშაო.

გუნდმა 1:0 მოუგო „ატლეტიკო პარანენსეს", თუმც, თამაშს მხოლოდ 1035 გულშემატკივარი დაესწრო, რადგან კლუბის უფროსობამ ყველასთვის მოულოდნელად ბილეთის ფასი გაორმაგა.

ლუდაუ დუ ბოზაუ

კრუზეირო	15	9	4	2	33:19	31
სან პაულუ	15	8	4	3	30:25	28
სანტოსი	14	8	3	3	26:13	27
კურიტიბა	15	8	3	4	25:18	27
ინტერნასიონალი	15	7	3	5	20:18	26
ატლ. მინეირო	15	6	6	3	26:19	24
სან კაეტანო	15	6	6	3	17:15	24
კორინთიანსი	15	6	5	4	31:20	23
კრისიუმა	15	6	3	6	17:21	21
ვიტორია	15	6	3	6	18:23	21
ვასკუ და გამა	15	5	6	7	22:21	21
ფლამენგო	15	5	6	4	23:25	21
პარანა	15	5	4	6	25:23	19
ფლუმინენსე	15	5	4	6	21:22	19
ბაია	15	5	4	6	20:25	19
გუარანი	15	5	3	7	24:24	18
ფიგეირენსე	15	4	6	5	18:19	18
ატლ. პარანენსე	14	5	2	7	23:23	17
ფუვენტუდე	15	3	5	7	15:28	17
პაისანდუ	15	4	4	7	26:33	16
გრემიო	15	4	3	8	18:23	15
ფორტალეზა	15	3	4	8	15:24	13
პონტე პრეტა	14	3	6	5	18:24	11
გოიასი	14	2	3	9	23:29	9



ბლატერი აძლევს და ართმევს

ოკეანეთს ნახევარი გუნდი დაუტოვეს

როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, ზეპ ბლატერისა და ფიფას აღმასკომის წევრთა თავებში შესაძლოა ახალი იდეები მწიფდებოდეს. ამის თაობაზე ვერაფერს მოგახსენებთ, ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია გითხრათ, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო ფიფას აღმასკომმა პარიზში ჩატარებულ სხდომაზე.

ფიფას აღმასკომმა გადაწყვიტა, რომ მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატი, წინას მსგავსად 32-გუნდა იქნება და რომ ოკეანეთის კონფედერაციას მასზე ძველებურად ნახევარი ადგილი ერგება.

კენჭისყრისას აღმასკომის 24 წევრიდან 22-მა ეს ვარიანტი მოიწონა, ერთი წევრი წინააღმდეგი წავიდა, ერთმაც — ის ერთი ზეპ ბლატერი იყო — თავი შეიკავა, ანუ ხელები დაიბანა.

საქმეში ჩახედული მკითხველი გაიკვირვებს: აკი, ოკეანეთს ყოველგვარი გადათამაშების გარეშე ერგო ერთი ადგილი მუნდიალზეა? და თუ საქმეში ჩახედული მკითხველი გონებასაც დაძაბავს, გაიხსენებს, რომ ოკეანელთათვის საამო გადაწყვეტილება იმავე აღმასკომმა სულ რაღაც 7 თვის წინ მიიღო.

„თამაშგარეთ დაგვტოვეს, თითქოს ჩვენ არც ვარსებობდეთ, იცით, რა ვერ გამიგია? თუკი სულ რაღაც 7 თვის წინ ოკეანეთისთვის ერთი ადგილის მიცემა სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება იყო, უცბად რამ შეაცვლევინათ აზრი?" — აღშფოთებულმა იკითხა ოკეანეთის წარმომადგენელმა ასონგალუ ფუსიმალოზიმ, იმან, ვინც ერთადერთი წავიდა ძველი გადაწყვეტილების შეცვლის წინააღმდეგი და პროტესტის ნიშნად სხდომაც მიატოვა.

და თუ ფიფას აღმასკომის წევრმა ვერ გაიგო რა ახალი აზრები დატრიალდა ბლატერისა და მისი გუნდის თავებში, ჩვენ როგორ გავიგოთ?

ჩვენ მხოლოდ ბლატერის მოკლე კომენტარს გაგაცნობთ: კონფედერაციათა თასზე ახალი ზელანდიის ნაკრებმა ძალიან სუსტად ითამაშა, რის გამოც ოკეანეთს ავტომატური ადგილი ჩამოვართვით.

როდის აქეთ გახდა კონფედერაციათა თასზე თამაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ადგილების განაწილების კრიტერიუმი?

ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელმა ფრენკ ფარინამ თქვა, საერთოდ რაღა აზრი აქვს ოკეანეთის კონფედერაციის არსებობასო. ახალი ზელანდიის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ბილ მაკგოუენმა კი იდეა წამოაყენა, მაშინ ადგნენ და აზიასთან გაგვაერთიანონ.

კოტე კეკელია

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ

ევროპა – 13 გუნდი	აფრიკა – 5 გუნდი
აზია – 4.5 გუნდი	ჩრდ. ამერიკა – 3.5 გუნდი
ს. ამერიკა – 4.5 გუნდი	ოკეანეთი – 0.5 გუნდი

„პერუჯას“ ახალწვეული ალ საადი კადაფი

ალ საადისთვის სულერთია

უკანასკნელი ცნობების თანახმად, ხვალ დილით სტეფან აპია „იუვენტუსში“ გადავა. წინა კვირაში ნათელი გახდა, რომ „პარმა“ თანახმაა აპია ტურინის გზას გააყოლოს, ოღონდ სანაცვლოდ 6,16 მილიონ ევროს, ემილიანო მორეტის კონტრაქტის ნახევარს და ვინმე ნახევარმცველის სესხებას ითხოვს. თავიდან ტურინელებმა საზიარო ახალგაზრდის, მატეო ბრიგის კონტრაქტის თავიანთი ნახევარი დათმეს, მაგრამ უარი მიიღეს, შემდეგ მხარეები ენცო მარესკას გამო ვერ შეთანხმდნენ და ბოლოს მანუელე ბლაზის „პარმაში“ გაგზავნამ დაალაგა სიტუაცია. 23 წლის ბლაზი, ამ ზაფხულს, „პერუჯადან“ ბრუნდებოდა ტურინში...

„პერუჯაზე“ კი ნუ გვკითხავთ. გუნდში, რომელიც ნასესხებ ბლაზის დაემშვიდობა, მომავალი სეზონიდან ლიბიის დიქტატორის, მუამარ კადაფის ვაჟი, ალ საადი ითამაშებს. ახალი ფეხბურთელის პრეზენტაცია მე-13 საუკუნის სასახლეში ჩატარდა, სადაც „პერუჯას“ პრეზიდენტს, ლუჩანო გაუჩის ქომაგების ერთი ჯგუფი საგანგებოდ ჰყავდა მიწვეული, რათა მათ პლაკატი — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, საადი“ — გაეშალათ. პრეზენტაციას, ბუნებრივია, ესწრებოდა მასმედია. „პერუჯასა“ და უმცროს კადაფის შორის ორწლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

გავიხსენოთ, თუ რა მოხელეა ალ საად კადაფი. იგია მეპატრონე ლიბიის კლუბისა „ალ იტიჰადი“. აქამდე თავად თამაშობდა საკუთარ კლუბში და ბოლო ორ სეზონში 25 გოლი გაიტანა (ეს რა დათვლაა, ორსეზონიანი, ვერ გეტყვით: ალბათ იმისთვისაა საჭირო, რიცხვი 25 რომ გამოჩნდეს, თორემ 12 და 13 ეფექტს ვერ მოახდენდა), გახლავთ ლიბიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე ფიქრობს.

და აი, დღეს, უკვე 28 წლისა, კადაფი გადადის გუნდში, რომელიც უფრო უცხოელი თუ იტალიელი ახალგაზრდების დავაუკაცებით არის ცნობილი. გავიხსენოთ იაპონელი ჰიდეტოში ნაკატა თუ იტალიელი ფაბრიციო მიკოლი... თუმცა, ლიბიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ფრანკო სკოლიო კადაფის ნიჭზე საუბრისგან თავს იკავებს:

„როდესაც ლიბიას ვწვრთნიდი, ერთი-ორჯერ ისიც გამოვიძახე, ოღონდ მის უნარზე, თქვენი ნებართვით, არაფერს მოგახსენებთ“.

და მაინც, ამბობენ, რომ კადაფის „პერუჯაში“ ჩასვლა მხოლოდ სარეკლამო ტრიუკი არ არის.

„ჩვენ რეკლამა არ გვჭირდება, უბრალოდ ერთხელაც ვრისკავთ და ვყიდულობთ ფეხბურთელს, რომელსაც ჩვენს გუნდში თამაში სურს და რომელიც ამბობს, რომ ძირითადში იქნება თუ სკამზე იჯდება, მისთვის სულერთია. სწორედ ეს არის მისი ერთ-ერთი საუკეთესო თვისება“ — განაცხადა პრეზიდენტმა გაუჩიმ.

„ვიცი, ძნელი იქნება დამკვიდრება და ვიცი, რომ „პერუჯა“ სერია A-ს ერთადერთი გუნდია, რომელიც ფეხბურთელებს მთელი მსოფლიოდან აგროვებს. სწორედ ეს ადასტურებს, თუ რა დონის სპეციალისტები მუშაობენ აქ“ — განაცხადა კადაფიმ, რომელმაც დასძინა, რომ მის გადაწყვეტილებას მამამისი გაგებით ხვდება.

პაპუნა კედია

ჩვენ ლაციოდან ვარ

სტამი ვენგერსაც მოუნდა

სტეფანო ფიორე უარყოფს, თითქოს „ლაციოდან“ „იუვენტუსში“ გადადის.

„სასიამოვნოა, როდესაც გესმის, რომ სხვა კლუბებს აინტერესებ, მაგრამ „ლაციო“ ჩემთვის გამორჩეულია, თავი ფეხბურთელად ამ გუნდში ვიგრძენი“ — განაცხადა „უდინეზეს“ ოდინდელმა მოთამაშემ, რომელიც პირველ სეზონში, დედაქალაქს, მთლად კარგად ვერ შეეწყო, მაგრამ რობერტო მანჩინის ხელმძღვანელობით სხვაგვარად აღმოაჩინა საკუთარი თავი.

„როდესაც გრძნობ, რომ მანჩინის დონის მწვრთნელი გენდობა, უნებურად შესაძლებლობების 100 პროცენტს ამჟღავნებ“ — განმარტავს ფიორე და „ლაციოს“ შემადგენლობას ახასიათებს — „ჩვენ თანამოაზრეები ვარ, ერთადერთი, რაც შეიძლებოდა ჩვენი ჯგუფის მთლიანობას დამუქრებოდა, იაპ სტამის და დეიან სტანკოვიჩის საკონტრაქტო პრობლემები იყო“.

მოგეხსენებათ, ბოლო ორი თვის განმავლობაში სტამსა და სტანკოვიჩს ხან „იუვენტუსს“ უკავშირებდნენ, ხან „მილანს“ და ხან „ინტერს“. ამბობდნენ, რომ „ლაციოდან“ წავიდოდა ბერნანდო კორადიც, მაგრამ ფიორე, რომელიც სწორედ კორადისთან ერთად ატარებდა ზაფხულის არდადეგებს ნიუიორკში, დარწმუნებულია, რომ მეგობარი რომსარ დატოვებს.

სტეფანო ფიორე „ლაციოს“ ერთგულია, იაპ სტამი კი რომს მალე დატოვებს

ჩამოთვლილი სამეულიდან, ყველაზე რთულად სტამის საქმეა. ჰოლანდიელი ძლიერი მცველიც გახლავთ და, იმავდროულად საკმაოდ ცნობილია, ამიტომ მასზე საგანგებო ნადირობაა გამართული. კერძოდ, ბოლო დროს ცნობილი გახდა, რომ სტამით დაინტერესდა ლონდონის „არსენალიც“, რომელიც იმედოვნებს, რომ 7 მილიონ ინგლისურ გირვანქად ანუ 9,8 მილიონი ევროდ 48 საათის განმავლობაში მოაგვარებს ყველა სირთულეს.

სტამი ორი წლის წინ „ლაციომ“ „მანჩესტერ იუნაიტედისგან“ 23,1 მილიონ ევროდ შეიძინა, თუმცა მას მერე ევროპულ ფეხბურთში ფინანსური მდგომარეობა შეიცვალა, კერძოდ, „ლაციო“ ლამის გაკოტრდა და, როგორც ამბობენ, დღეს 30 წლის სტამში უცბად 9,8 მილიონს თუ მიიღებს, ფრიად მადლობელი დარჩება.

ამ შესაძლო ტრანსფერს ინგლისის მასშტაბით ფრიად სასეირო შინაარსიც აქვს. ჯერ ერთი, მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „არსენალის“ ქიშპობის ამბავი და მეორეც, გეხსომებათ, რომ ჰოლანდიელი „იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა, ავტობიოგრაფიულ წიგნში, დამალულ საქმეში მოხსენიების გამო გაგდო გუნდიდან, ხოლო ფერგიუსონის დაწუნებულს „არსენალის“ თავკაცი, არსენ ვენგერი თუ იყიდის და მის წინააღმდეგ გამოიყენებს, ძალიან ბუნებრივი იქნება.

პაპუნა კედია

სენსის რაღაც აერია

ლუსიო ლევერკუზენში რჩება

ლევერკუზენის „ბაიერმა“ ბრაზილიელი ლუსიო ოფიციალურად მოხსნა სატრანსფერო ბაზრიდან, ოღონდ მას მერე, რაც ფეხბურთელმა და მისმა თავგადაკლულმა მეგობელმა, „რომამ“, პერსონალური საკითხები ვერ მოაგვარეს.

„ჩვენ ეს ნაბიჯი იმიტომ გადავდგით, რომ ლუსიოს გამო ჭორაობას ბოლო მოღებოდა“ — განაცხადა გერმანული გუნდის წარმომადგენელმა.

„რომასთან“ დაახლოებულმა წრეებმა გაახმაურეს, რომ კლუბები 14 მილიონ ევროდ რიგდებოდნენ, მაგრამ საქმე ფეხბურთელის დიდმა მადამ ჩაშალა. ამ დროს გაზეთ „ზონტაგს ექსპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ლუსიომ განაცხადა:

„ტყუილია, „რომას“ პრეზიდენტის, ფრანკო სენსის მოგონილია, თითქოს სეზონში 3,64 მილიონ ევროს ვიღებდი. ტრანსფერი ჩაიშალა და ახლა ის ცდილობს ყველაფერი მე და ჩემს აგენტს დაგვაბრალოს“.

ამრიგად, სენსიმ უკვე მეორე მარცხი განიცადა. პირველი ნიკოლა ლეგროტალიეს ვერშეძენა და მისი „იუვენტუსისთვის“ გატანება გახლდათ, რაც, როგორც ჩანს, „რომას“ პრეზიდენტს განსაკუთრებით უხერხულ და უსიამოვნო მდგომარეობაში აგდებს.

„ლუსიოს ერთხელაც არ დაცდენია იმაზე მეტი მომეცით, ვიდრე ლევერკუზენში ვიღებო. ეს კი წელიწადში 2,1 მილიონი ევროა და მეტი არაფერი“ — თქვა ფეხბურთელის აგენტმა სანდრო ბეკერმა.

ბეკერის კოლეგა კრისტოფ ანრიტე კი „აიაქსში“ მოთამაშე ევგენიტელი მიდოს წარმომადგენელი გახლავთ და ამბობს, რომ „რომამ“ მის კლიენტს დიდებული წინადადება შესთავაზა. ახლა ყველაფერი „კლუბებზეა დამოკიდებული, ოღონდ...

„ერთხელ „აიაქსმა“ „რომას“ უკვე უთხრა უარი. უარის მიზეზი „რომას“ ფინანსური კრიზისია. მიდოს ფასი კი 9-10 მილიონ ევროს უტოლდება. ვნახოთ, იქნებ თანამფლობელობის ამბავი გადაწყდეს“ — თქვა აგენტმა.

პაპუნა კედია

ჯერჯეროობით ამბობენ, რომ...

გაყიდეთ კანავარო, მიყიდეთ მენდიეტა

ფაბიო კანავარო

„ინტერმა“, შესაძლოა, ფაბიო კანავარო გაჰყიდოს — ამბობენ კანავაროს მყიდველები უწინარეს ყოვლისა ესპანეთში არიანო — რათა 14 მილიონი ევრო შეაგროვოს და კრისტიან კივუს შეწვდეს. ამ ცნობამ დიდი გაკვირვება გამოიწვია, კანავაროს შესაფერის ესპანურ კლუბებად კი ყველამ „რეალი“ და „ბარსელონა“ წარმოიდგინა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იტალიის ნაკრების კაპიტანი, საეჭვოა რომელიმე მცირე კლუბს ეზომებოდეს.

კანავაროს ფასი, როგორც მოგახსენეთ, დაახლოებით 14 მილიონი ევროა და „რეალისთვის“ თუ „ბარსელონასთვის“ მისი გადახდა პრობლემა არ იქნება, მაგრამ პრობლემას ესპანეთში მოთამაშის ხელფასის განსაზღვრისას ელიან.

ამასობაში, „შავ-ლურჯების“ ტექნიკური დირექტორი მარკო ბრანკა აცხადებს, რომ ცვლილებები უახლოეს დღეებშია მოსალოდნელი. კერძოდ, საუბარია იმავ კივუს ყიდვაზე ან „კიევოდან“ ლუსიანოსა და სიმონე პეროტას ერთად გადაბირებაზე, რასაც „არსენალიდან“ შესაძლოა, ფრედი ლიუნგბერგიც დაემატოს.

და ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ გამოვიდა ხმები, რომ „ინტერის“ მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი კლუბის ხელმძღვანელებს გაისკა მენდიეტას შეძენას სთხოვს.

„იგი ნებისმიერი მწვრთნელისთვის იდეალური ფეხბურთელია“ — ამბობს კუპერი, რომლისთვისაც მენდიეტა იმდენადაა ხელმისაწვდომი, რამდენადაც „ბარსელონას“ მისი დატოვება არ სურს და პატრონს, „ლაციოს“ უბრუნებს, რომაელები კი ჰყიდიან. თეორიულად, მენდიეტას სანაცვლოდ „ლაციოს“ იმდენი უნდა უნდოდეს, რამდენიც 2001 წელს გადაიხადა, ანუ 40,6 მილიონი ევრო, თუმცა, პრაქტიკულად ყველაფერი მოსალოდნელია. გავიხსენოთ, რომ მენდიეტამ თავი ვერც „ლაციოში“ გამოიჩინა და ვერც „ბარსელონაში“, მაგრამ მანამდე, „ვალენსიაში“, ექტორ კუპერის ხელქვეით ბრწყინავდა. ჰოდა, იქნებ, სწორედ კუპერთან დაბრუნებამ უშველოს.

„ინტერის“ ჩანაფიქრთაგან საყურადღებოა მადრიდის „რეალის“ არგენტინელი ნახევარმცველის, სანტიაგო სოლარის შეძენის სურვილიც. „პარმასთან“ დაკავშირებით საუბრობდნენ დომენიკო მორფეოსა და საბრი ლამუშიზე, ხოლო რაც შეეხება ჭორს, თითქოს ალვარო რეკობას „ბარსელონაში“ გაუშვებენ და სანაცვლოდ იქიდან ხუან რამონ რიკელმეს წამოიყვანენ, ჯერ არ დასტურდება.

პაპუნა კედია

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

		1	X	2	1-X	1-2	X-2
	შვედეთი. XII ტური						
	1 ივლისი						
23.00	აიკ-იორებრო	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
	2 ივლისი						
22.00	ხუდსვალი-იოსტერი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
22.00	იორგრიტე-ჰალმსტადი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
	ფინეთი. XI ტური						
	2 ივლისი						
20.30	ალიანსი-ჰაამეენლინა	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
	3 ივლისი						
20.30	ჰაკა-კეოპიო	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	ჰაკა-კეოპიო 0:1	1,75	3,2	3,0			
20.30	იარო-ინტერი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
20.30	იოკერიტი-ლაპტი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67

		1	X	2	1-X	1-2	X-2
20.30	ტურკუ-ტამპერე	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
20.30	ვასა-კტპ	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
21.00	მიკპა-ჰიგ	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
	ლიბერტადორესის თასი. ფინალი. II მატჩი						
	2 ივლისი						
05.40	სანტოსი-ბოკა ხუნიორსი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
	ამხანაგური მატჩები						
	2 ივლისი						
24.00	გვატემალა-პერუ(ნეიტრ.)	3,5	3,2	2,0	1,67	1,27	1,23
24.00	სალვადორი-პარაგვაი(ნეიტრ.)	5,3	3,5	1,6	2,1	1,22	1.09
	3 ივლისი						
04.00	ტრინიდადი-ვენესუელა	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
	5 ივლისი						
03.05	ეკვადორი-ნიგერია	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრინწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	ცხინვალის გზატკეცილი №11	წმინდაწყლის დასახლება
	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №66	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
	აღმაშენებლის ქუჩა № 21	(სავაჭრო ცენტრი ალამი 1)
	ჭავჭავაძის ქუჩა № 13	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
ქობულეთი	სასტუმრო „ივერიის“ მიმდებარე ტერიტორია	
სარფი	საბაჟო პუნქტის პირდაპირ	

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

„ბელისიმო! ბრავისიმო!“

ასე შეაფასეს თბილისის შვიდკაცა იტალიელმა მორაგბეებმა, რომლებმაც სამშობლოში ქართველი ქომაგის სიმპათია და მე-4 ადგილი გაიყოლეს.

ევროპის სერიის თბილისური ეტაპი მისი თაოსან-მომწყობებისთვის წარმატებით რომ ჩამთავრდა, ეს FIRA-ს (ევროპაში რაგბის განვითარების საბჭო) დამკვირვებლებმაც და ტურნირის ფრანგმა დირექტორმა ალან მაიომაც დაადასტურეს. FIRA-მ ჩვენი რაგბის კავშირს შვიდკაცა ეტაპის ჩატარების უფლება სამი წლით არგუნა და თუ გაისად და იმის მომდეგნო წელსაც შეჯიბრის ხარისხი კიდევ გაუმჯობესდება, ეს ვადა გაიზრდება.

ერთი ეგაა, შვიდკაცა ჩვენში ჯერაც უმწიფარი ხილია და მისი გამსინჯავი ისევ სარაგბო ოჯახის წევრ-ახლობლები არიან. იმედია, მომავალში ქომაგობა იმრავლებს და რაგბის ამ სახეობას, რომელიც სადაცაა გაოლიმპიურდება, მეტი დამფასებელი გამოუჩნდება.

ტურნირის პირველ დღესთან შედარებით მეორე გაცილებით ხალხმრავალი გამოდგა. ალბათ იმიტომ, რომ კვირა გადამწყვეტი მატჩების დღე იყო, თანაც ფინალის შემდეგ დაპირებული კონცერტი და ფეიერვერკიც მოეწყო.

ტურნირს, რომელიც 20 მატჩს ითვლიდა, მოსაწყენი შეხვედრებიც გამოერია. ეს მოსალოდნელიც იყო, რაკი 8 მონაწილე ნაკრებიდან სამი — ბულგარეთი, ისრაელი და აზერბაიჯანი — ახლა სწავლობს რაგბის ანბანს და თბილისური შვიდკაცა მათთვის მშვენიერი გაკვეთილი გამოდგა.

ამით იმის თქმა არ გესურს, რომ შეჯიბრის სანახაობრივმა მხარემ არ გაამართლა, პირიქით, ისეთი ჯახებიც მრავლად იყო, ფეხზე წამომხტარს დასაჯდომად რომ არ გეცალა. ერთიც, აზერბაიჯანის და იტალიის შემადგენლობაში თითო მატჩი ქართველმა მორაგბეებმაც ითამაშეს. მათი გვარების გამოცხადებისას მავანი შეიძლება დაიბნა კიდეც, საიდან სადაო. დავაზუსტოთ, რომ ევროპის შვიდკაცა სერიის დებულებით, თუ რომელიმე გუნდის მორაგბე ტრავმის ან სხვა მიზეზით გამოაკლდა ტურნირს, მასპინძელ ქვეყანას ათი მორაგბე უნდა ჰყავდეს გამზადებული, რათა მათ სტუმრები შეცვალონ. და კიდევ, ჩვენებს მაისურებზე ან შემოკლებული გვარები, ანაც სახელები ეწერათ, რაც ამგვარ შეჯიბრში არ იკრძალება.

ტურნირის მშვენება კი, ცხადია, ფინალი იყო, რომლის დაძაბულობამ მანამდე გამართული ყველა მატჩი ერთად აღებული გადაწონა.

ერთმანეთს შეასკდნენ ქართველები და ფრანგები. სწორედ რომ შეასკდნენ, რაკი 20-წუთიან ჯახში შერკინება, მოლი და რაქი

სპორტ

ევროპის შვიდკაცა სერია 28-29 ივნისი. თბილისი

თბილისიმო!

თამაში, რომელიც მოუხდა ქალაქს

სულ სიმღერ-სიმღერით და ცეკვა-თამაშით ჩაგრიალდა თბილისის შვიდკაცა. ვისთვის საპრესტიჟო და მნიშვნელოვანი, ვისთვის კი გასართობი ორდღიანი ტურნირი ევროპის სერიის ერთ-ერთი ეტაპი იყო და მომდევნო ორ წელსაც ისევ თბილისში გაიმართება. რაც მთავარია, „ლოკომოტივის“ სტადიონზე შვიდკაცასთვის ჩვეული ლაღი ატმოსფერო სუფევდა: ცივი ლუდი, გამაგრილებელი სასმელები, კონცერტი, ფეიერვერკი და, ცხადია, რაგბი, დინამიური და მიმზიდველი. ერთი სიტყვით, ვინც შვიდკაცა იხილა, ცოტათი მაინც გაიხალისა უქმეები.

ტურნირი კი მოიგო საქართველოს ნაკრებმა, რომლისთვისაც ეს არ იყო პირველი საშვიდკაცო ტიტული, მაგრამ თავად ბორჯღალოსნებს თუ ვერწმუნებით, ეს, თბილისური, ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ მათთვის

გია ლაბაძის შეჩერება ყოველთვის ძნელი საქმეა

ქართველთაგან საუკეთესომ, ირაკლი მაჩხანელმა ხუთ მატჩში რვა ლელო გაიტანა

გამარჯვებულის სარგო ფარი მალხაზ ურჯუკაშვილმა ჩაიბარა

უფრო სჭარბობდა, ვიდრე შვიდკაცას მთავარი ელემენტი — ხელდახელ თამაში. სისხლიც დაიღვარა და ორივე გუნდიდან ბევრს ჩაულურჯდა ძვალ-რბილი. ამ დაკადაკაში კი ქართველებმა იმარჯვეს, მეტადრე კი ირაკლი მაჩხანელმა, რომელსაც ფრანგებმა წარბი გაუხეთქეს. ირაკლიმ ორჯერ დაალელოვა მეტოქე. მაჩხანელი ჩვენებიდან საუკეთესო იყო ტურნირზე და 8 ლელოთი ბორჯღალოსანთა უპირველესი მელელოვეც გახდა. აქვე ვთქვათ, რომ 5 მატჩში ჩვენებმა 29 ლელო გაიტანეს და 4 გაუშვეს.

სანაკრებო მატჩების პარალელურად საკლუბო და ბავშვთა გუნდებმაც იშვიდკაცეს. საკლუბო ტურნირში ქართულმა გუნდებმა ითამაშეს, მათ კი სომხეთის ნაკრები დაემატათ, რომელიც „ერევნის“ სახელით გამოვიდა. საკლუბო შვიდკაცა „აკადემიამ“ მოიგო, რომელმაც ფინალში „ხულიგინა“ 12:7 დაამარცხა, ხოლო ბავშვების ტურნირი ბორჯღალოსან მალხაზ ურჯუკაშვილის კლუბმა, პატარძეულის „ვეფხვებმა“ მოიგეს.

ფეიერვერკის შემდეგ კი სტუმარ-მასპინძელმა ტრადიციული მესამე ტაიმიც არანაკლები ეშხით და ხალისით ჩაამთავრა. ლხინი დილამდე გაგრძელდა.

ბაჩო სვანიძე

ბადრი კეთილაძის ფოტოები



კლოდ სორელი

28 ივნისი

A ჯგუფი

უკრაინა 17:14 რუმინეთი

საქართველო 66:0 აზერბაიჯანი

საქართველო: 10 ლ: აბუსერიძე (2), ურჯუკაშვილი, მაჩხანელი (3), ი. გიორგაძე, გუნდიშვილი (2), ლაბაძე; 7 გ: ურჯუკაშვილი (4), კიკნაძე (2), აბუსერიძე

უკრაინა 52:0 აზერბაიჯანი

საქართველო 42:7 რუმინეთი

საქართველო: 6 ლ: გუნდიშვილი (2), ლაბაძე, ურჯუკაშვილი, მაჩხანელი, ხამაშურიძე; 5 გ: ურჯუკაშვილი (3), ხამაშურიძე, კიკნაძე

რუმინეთი 68:0 აზერბაიჯანი

საქართველო 21:5 უკრაინა

საქართველო: 3ლ: გუნდიშვილი, აბუსერიძე, კაცაძე; 3გ: ურჯუკაშვილი (2), კიკნაძე

საქართველო	3	0	0	127:12	6
უკრაინა	3	0	1	74:35	4
რუმინეთი	1	0	2	89:57	2
აზერბაიჯანი	0	0	3	0:126	0

B ჯგუფი

იტალია 38:0 ბულგარეთი

საფრანგეთი 52:0 ისრაელი

იტალია 40:10 ისრაელი

საფრანგეთი 54:0 ბულგარეთი

საფრანგეთი 28:0 იტალია

ისრაელი 29:22 ბულგარეთი

საფრანგეთი	3	0	0	139:0	6
იტალია	2	0	1	92:28	4
ისრაელი	1	0	2	39:121	2
ბულგარეთი	0	0	3	24:121	0

29 ივნისი

5-8 ადგილებისთვის

რუმინეთი 45:0 ბულგარეთი

ისრაელი 17:15 აზერბაიჯანი

7-8 ადგილებისთვის

ბულგარეთი 24:7 აზერბაიჯანი

5-6 ადგილებისთვის

რუმინეთი 50:7 ისრაელი

ნახევარფინალები

საქართველო 29:0 იტალია

საქართველო: 5ლ: ლაბაძე (2), მაჩხანელი (2), ხამაშურიძე; 2გ: ურჯუკაშვილი, კიკნაძე

საფრანგეთი 12:0 უკრაინა

3 ადგილისთვის

უკრაინა 38:21 იტალია

ფინალი

საქართველო 29:14 საფრანგეთი

საქართველო: 5ლ: აბუსერიძე, მაჩხანელი (2), გუნდიშვილი, ურჯუკაშვილი; 2გ: ურჯუკაშვილი

გამიმართლა!

ფაჩულია აღარ ნერვიულობს. პირიქით

ვინც ფიქრობს, რომ ზაზა ფაჩულიას დრაფტზე არ გაუმართლა, იმათ გასაგონად თავად ზაზას სიტყვებს გავიმეორებთ: „ძალიან კმაყოფილი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ 42 ნომრიდან ამირჩიეს, შესაძლოა, ჩემთვის „ორლანდოზე“ უკეთესი ვარიანტი არც ყოფილიყო. ამ გუნდს ისეთი ცენტრი არ ჰყავს, ვისთანაც ძირითად გუნდში დასამკვიდრებლად ბრძოლაში შანსი არ მექნებოდა.“ ეგაა, მეორე რაუნდში არჩევა შედარებით იაფ კონტრაქტს ნიშნავს, თან კონტრაქტის მისაღწევად, პირველრაუნდელისგან განსხვავებით, უფრო მეტი ოფლის ღვრაა საჭირო. ზაზა ფაჩულია აქამდეც ამბობდა, რომ ფული არ აინტერესებს, ჰოდა, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი



ზაზა ფაჩულიამ და ამერიკელმა ჟურნალისტებმა ერთმანეთი გაიცნეს

— პირველ წრეში რომ არ ამირჩიეს, ძალიან ვნერვიულე, თან მეორე რაუნდშიც დაგვიანა ჩემმა ამრჩევმა გუნდმა — გვითხრა ზაზა ფაჩულიამ, ორლანდოში რომ დავუკავშირდით — საბოლოოდ, „ორლანდომ“ რომ ამირჩია, მეგონა, ძალიან არ გამმართლა, ახლა კი პირიქით ვფიქრობ.

— რატომ ელოდი გინდა თუ არა პირველ წრეში არჩევას? დრაფტამდე ხომ ამბობდი, არაფერია გამორიცხულიო...

— გამორიცხული მართლაც არაფერი იყო და აგერ, ამირჩიეს კიდეც 42-ე ნომრად. მე 20-დან 29-მდე გუნდებისგან ველოდი არჩევას, უფრო კი 28-ე „სან ანტონიოსგან“. დრაფტამდე კერძო საუბარში სანანტონიოელთა წარმომადგენელს უთქვამს, ფაჩულიას ავირჩევთო, მაგრამ... „ორლანდო“ თუ ამიყვანდა, ნაღდად არ ველოდი, ფლორიდელები არც სტამბოლში ყოფილან ჩემს სანახავად და აქაც არ გამოუჩენიათ დიდი დაინტერესება.

— იმასაც ამბობდი, მინდა, ვარსკვლავის პატრონმა გუნდმა ამიყვანოსო. ამ მხრივ ნაღდად გაგიმართლა...

— ჰო, ტრეისი მაკგრეიდისნაირი კალათბურთელი ერთი-ორი თუა მთელ ლიგაში. სამაგიეროდ, მაკგრეიდის გარდა ორლანდოელებს თითქმის არავინ ჰყავთ გამორჩეული.

— ეს ცენტრებზე უფრო ითქმის, რაც შენ ხელს გაძლევს...

— ჰოდა, ამიტომაც გითხარი, ახლა ვფიქრობ, გამიმართლა-მეთქი. თუ თავიდან ვინერვიულე, ახლა მიმაჩნია, რომ „ორლანდო“ ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტი იყო ჩემთვის და სწორედ საშუალო ცენტრების გამო. ყველასთან შემიძლია ბრძოლა, შონ კემპი დაბერდა, ბურკი ვიცი ვინცაა, ევროპაში მითამაშია მის წინააღმდეგ, არც სხვები ბრწყინავენ და ამიტომაც ყველაფერი წინაა, თავის გამოჩენის კარგი შანსი მაქვს.

— კონტრაქტზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ მაინც, როდის გადაწყდება, გიფორმებენ თუ არა?

— ორლანდოში 8-დან 12 ივლისამდე საზაფხულო კემპი მოეწყობა, რომელშიც მეც მივიღებ მონაწილეობას „ორლანდოს“ შემადგენლობაში. აქ თითქმის ყველა ის ახალბედა მოგროვდება, დრაფტში მაღალ ნომრებად რომ აირჩიეს. ორლანდოში ჩამოვა დრაფტის პირველი ნომერი ლებრონ ჯეიმსიც. ჩემი კონტრაქტის ამბავიც სწორედ ამ კემპზე უნდა გადაწყდეს, თუ თავს ვისახელებ, „ორლანდოში“ ოფიციალურად ჩავირიცხები.

— ღმერთმა არ ქნას და, კონტრაქტი რომ არ გაგიფორმონ?

— ალბათ ისევ „ულქერში“ დავბრუნდები.

— გუნდის უფროსებმა და ჟურნალისტებმა რა გითხრეს?

— საფუძვლიანად არ გვილაპარაკია, გაცნობითი ხასიათის შეხვედრები მქონდა. ჟურნალისტებმა მკითხეს, რას შესძენ „ორლანდოსო“. რაც გჭირდებათ, იმის გაღებას ვეცდები-მეთქი.

— „ორლანდოს“ პირველ წრეში არჩეული რიის გეინესისთვის ხომ არ გაუფორმებია კონტრაქტი?

— არა, მხოლოდ გაგვიცნეს, მასმედიის წინაშე წარგვადგინეს და სულ ეგ იყო.

— ვარჯიშები?

— ახლა კლუბში მარტო ვარ. დრაფტზე არჩეულები შინ წავიდნენ, მე სასტუმროში ვცხოვრობ და როცა მინდა, მაშინ მივაკითხავ ხოლმე დარბაზს და ჩემთვის, მარტო ვვარჯიშობ. საგაზაფხულო კემპისთვის მოსამზადებლად ორლანდოელები ხვალიდან დაიწყებენ შეკრებას, სულ 30 კალათბურთელს ელიან. არ იქნება მხოლოდ ძირითადის რამდენიმე მოთამაშე, შარშანწინდელი, შარშანდელი ახალწვეულები და რამდენიმე ევროპელი შეიკრიბება. ამ კემპზე ის კალათბურთელები შეირჩევიან, რომლებსაც ორლანდოელები კონტრაქტს გაუფორმებენ. ახალწვეულები კი კლასის ასაღლებლად მიიღებენ მასში მონაწილეობას. ვნახოთ, რა გამომივა, კარგი შანსი მეძლევა საიმისოდ, რათა დავამტკიცო, რომ 42-ეობას ნაღდად არ ვიმსახურებდი.

ირაკლი პერტაია



ტრეისი მაკგრეიდი

დინოზავრის ნაკვალევზე

შაილ ონილი ადრე ფაჩულია იყო

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ახლახან გადაბარგებულ ზაზა ფაჩულიას გარშემო უამრავი კითხვა იყრის თავს. ახალგაზრდა ქართველი ცენტრი, თავადაც მოგეხსენებათ, 26 ივნისს დრაფტის მეორე წრეში 42-ე ნომრად აირჩია „ორლანდო მეჯიქმა“, მაგრამ ფაჩულია სრულუფლებიან ორლანდოელად და ნბა-ელად ვერ ჩაითვლება, თუკი ამ კლუბმა მას კონტრაქტი არ გაუფორმა.

ფლორიდელები თითქმის უცნობ ახალწვეულს, ცხადია, ორ დღეში არ დაუდებენ კონტრაქტს. მას ავარჯიშებენ, შეხედავენ, სავარაუდოდ საზაფხულო ლიგაშიც ათამაშებენ და მისი საბოლოოდ შეფასების შემდეგღა გადაწყვეტენ ქართველის ბედს. ზუსტად ერთ კვირაში კი საზაფხულო ლიგაც იწყება, რომელსაც სწორედ ქალაქი ორლანდო მასპინძლობს და მასში „მეჯიქის“ გარდა ნბა-ს კიდევ ხუთი კლუბი მიიღებს მონაწილეობას. მანამდე ფაჩულიას კარგი შანსი აქვს, მწვრთნელ დოკ რივერსს და კლუბის სხვა მესვეურებს ვარჯიშებზე მოანონოს თავი. ჩვენ კი შევეცადოთ, უფრო ახლოს გავიცნოთ კლუბი, რომელიც იმედია, მესამე ნბა-ელი ქართველისთვის მშობლიური გახდება.

ორლანდო ფაჩულიამდე...

„ორლანდო მეჯიქი“ შედარებით ახალგაზრდა კლუბია. ნბა-ში 1989 წლიდანაა და 14 სეზონის გადასახედიდან ბევრად მეტი დაეკვეხნება, ვიდრე სხვა მის კბილა გუნდებს „მაიამის“, „მინესოტასა“ და „ნიუ ორლეანს“ (ყოფილი შარლოტი) — „მეჯიქი“ 1995 წელს ნბა-ს ფინალში გავიდა. იმ ხანად „ორლანდოს“ უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდა, მაგრამ ვერ შეინარჩუნა.

ცენტრალურ ფლორიდაში ახლაც მისტირიან შაკილ ონილს, რომელიც „მეჯიქში“ გატარებული 4 სეზონის შემდეგ ვერ შეინარჩუნეს. გუნდი კიდევ სამი წელი ცდილობდა, მეორე სუპერვარსკვლავის, შაკილის დოსტ პენი ჰარდეევეის გარშემო აწყობილიყო, მაგრამ სულ ტრავმიანობდა და კლუბმა 1999 წელს დაითხოვა.

„ორლანდო მეჯიქის“ უახლესი ისტორია წარმატების ძიების მცდელობაა. 1999 წელს გუნდში მთავარ მწვრთნელად მივიდა ამ საქმეში ახალბედა გლენ „დოკ“ რივერსი, რომელმაც მაშინვე დაიგდო კარგი სპეციალისტის სახელი. „ორლანდოს“ 1999-2000 წლების სეზონში მთელს ლიგაში უარესი შემადგენლობა ჰყავდა, მაგრამ რივერსმა „ჯადოებს“ ჯადოქრობები აკეთებინა, 82 თამაშიდან 41 მოგებინა და სულ ერთი გამარჯვება დააკლდა პლეი ოფში მოსახვედრად. რივერსი სეზონის მწვრთნელად დასახელდა, „ორლანდოს“ გენერალური მენეჯერი ჯონ გაბრიელი კი წლის ადმინისტრატორად. გაბრიელმა მოახერხა ამ სეზონის სახელფასო ფონდიდან დაახლოებით 20 მილიონის დაზოგვა და ეს ფული 2000 წლის ზაფხულში ორი სუპერვარსკვლავის — გრანტ ჰილისა და ტრესი მაკგრეიდის გადასაბირებლად გამოიყენა. ამ ბიჭებით „ორლანდოს“ მწვერვალები უნდა დაელაშქრა, მაგრამ არ გაუმართლა. გრან ჰილი ტრავმებმა გადაიყოლა, ტრეისი მაკგრეიდი კი მართალია, ლიგას აზანზარებს, მაგრამ მისი სასწაულები „ორლანდოს“ მხოლოდ საშუალოებში ამყოფებს.

მარტში გრანტ ჰილმა მორიგი ოპერაცია გაიკეთა ქრონიკულად მტკივან კოჭზე (მეოთხე ოპერაცია სამ წელიწადში) და გაირკვა, რომ მთლიანად გამოტოვებს მომავალ სეზონს. არადა, მფრინავ გრანტს წყეულმა კოჭმა ბოლო სამ სეზონში „ორლანდოს“ თამაშების ოთხი მეხუთედი გამოატოვებინა. მისი არყოფნა მძიმე დარტყმაა კლუბისთვის. ჰილის ამბავში კარგი მხოლოდ ისაა, რომ ხელმძღვანელობა იმთავითვე შეეგუება უმისობას და სეზონის დასაწყისში გაბრიელი და რივერსი გადაურჩებიან საინფარქტე სიტუაციებს. კლუბი ახლავე სხვა მიმართულებით დაიჭერს გეზს, ალტერნატიულ გზებს მონახავს. იქნებ ერთ-ერთი გზა ზაზა ფაჩულიაზეც გადის?

... და ფაჩულიას დროს

ცხადია, „ორლანდოს“ ჰყავს მაღალი მოთამაშეები, მაგრამ შაკის მემკვიდრედ ვერცერთი გამოდგება. ისინი დაბალი დონისანი არიან და „მეჯიქი“ მათგან მაინცდამაინც დიდი ხეირს ვერ ნახულობს. გუნდში რამდენიმე თვის წინ მოსული დრიუ გუდენი კარგი ბიჭია, მაგრამ ის გამოკვეთილი ფორვარდია და ცენტრობას ვერ გასწევს. „მეჯიქმა“ წინა სეზონში ექვსი ცენტრი გამოიყენა და კმაყოფილი ვერც ერთით დარჩა. მათგან ერთი, ვეტერანი ჰორას გრანტი ჯონ გაბრიელმა სეზონის დასაწყისშივე დაითხოვა. სხვები არიან: შონ კემპი (33 წლის, 208 სმ, 125 კგ), პატ ბურკი (29 წლის, 211 სმ, 113 კგ), ენდრიუ დეკლერკი (30 წლის, 208 სმ, 115 კგ), სტივ ჰანტერი (21 წლის, 213 სმ, 100 კგ) და ნიგერიელი ოლუმიდე ოიედეჯი (22 წლის, 208 სმ, 115 კგ). ამ ხუთეულიდან ჰანტერის გარდა ყველა თავისუფალი აგენტია და სავარაუდოდ „ორლანდო“ ყველას თუ არა, ნაწილს მაინც გაუშვებს. ამათგან ყველაზე მეტი სარგებელი ისევ ბებერ სქელუას შონ კემპს მოჰქონდა, ბოლო სეზონში კემპმა 82 შეხვედრიდან 79-ში ითამაშა (აქედან 55 სასტარტო ხუთეულში) და საშუალოდ 20 წუთში გუნდი მხოლოდ 6,8 ქულით და 5,7 მოხსნით ასარგებლა.

211-სანტიმეტრიანი ზაზა ფაჩულია უპრობლემოდ მოაგროვებს მეტ ქულა-მოხსნებს, მხოლოდ კლუბმა 19 წლის ქართველს ზრდა-განვითარებაში ხელი უნდა შეუწყოს.

შაკილ ონილი „ორლანდოში“

ფაჩულია ამერიკულ კალათბურთს 8 ივლისიდან დააჭაშნიკებს. ორლანდო საზაფხულო ლიგას მასპინძლობს, რომელშიც „მეჯიქის“ გარდა მონაწილეობას მიიღე

ბენ „მაიამი“, „კლივლენდი“, „მინესოტა“, „დეტროიტი“ და „მილუოკი“. აღსანიშნავია, რომ „კლივლენდი“ ორლანდოში ჩამოყვანს თავის სენსაციურ ახალბედას, დრაფტის პირველ ნომერ ლებრონ ჯეიმსს და იმედია, არც „დეტროიტი“ დამალავს დრაფტზე ჯეიმსის მომყოლ სერბ დარკო მილიჩიჩს.

ირაკლი ფირაფშვილი

„პო ორტეზის“ ჩემპიონობით გიორგი მდივანმაც (ზედა რიგში მარჯვნიდან მეორე) გაიხარა

ხუთიტული

ამდენი რამე დივანზეც არ დაეტევა

ყველაზე მეტი ტიტული ევროპიდან რომელი ლეგიონერი ბრუნდება? ცოტა თუ არ დაფიქრდით, ამ კითხვას ეგებ არასწორად უპასუხოთ და თქვათ, მანუჩარ მარკოიშვილიო. ტრევიზოს „ბენეტონში“ მოთამაშე ქართველი უკანახაზელის საამხეზონო მონაგარი მართლაც მშთამბეჭდავია — სკუდეტო და ორი იტალიური თასი, მაგრამ მარკოიშვილზე ხელ-მკერდ დამშვენებული თბილისისკენ გიორგი მდივანი მოეშურება, ვინაც ფრანგული „პო ორტეზის“ ძირითად და დუბლიორთა გუნდებში ერთბაშად ხუთი ტიტული მოიგო

ამ ხუთიდან ყველაზე ძვირფასს მდივანი ამ უქმეებზე შესწვდა — საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. მანამდე პოელებს საფრანგეთის თასი და „ასების თასი“ მოიგეს, ასე რომ, ეს სეზონი „პო ორტეზისთვის“ ყველაზე ბარაქიანი გამოდგა.

ამასთან, დიდ პოელებს დუბლიორებმაც აუბეს მხარი და საფრანგეთის ჩემპიონები ხომ გახდნენ, თასიც მოიგეს. მთელ „პო ორტეზში“ გიორგი ერთადერთია, რომელიც ორივე — ძირითად და დუბლიორთა გუნდებში თამაშობდა და ყველაზე მეტტიტულიანიც ის გამოდგა.

„საფრანგეთის ჩემპიონის მედალი მომაქვს და ახლა აქ, პარიზის აეროპორტში ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულება — გვითხრა თბილისის რეისის მომლოდინე გიორგი მდივანმა გუშინ, პარიზში რომ დავუკავშირდით — ამ მედლის გარდა კიდევ ოთხი ფრანგული ტიტული მაქვს, მაგრამ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ჯილდო სწორედ ეს ოქროა.“

„პო ორტეზმა“ შაბათს ფინალური სერიის მესამე, გადამწყვეტ მატჩში შარშანდელი ჩემპიონი „ვილერბანი“ 74:66 დაამარცხა და მეცხრედ გადხა საფრანგეთის ჩემპიონი. მდივანმა საჩემპიონო ჯახს სათადარიგოთა სკამიდან უყურა, მაგრამ მატჩის შემდეგ მაინც უზომოდ ხარობდა.

„რატომღაც მეგონა, რომ მწვრთნელი ბოლო წუთზე მაინც გამიყვანდა მოედანზე, მაგრამ, სამწუხაროდ, საფინალო სირენამდე სკამიდან არ წამოვუყენებივარ. თამაშის შემდეგ კი არაფერი მახსოვდა, მეც ყველასავით ბედნიერი ვიყავი და ჩემპიონობით ვხარობდი. გასახდელში ფანები შემოგვიცვივდნენ, ერთი საათი მოვანდომეთ მათგან თავის დაღწევას, რესტორანში ხომ საჩემპიონო სუფრა გველოდა. არც დისკოთეკა დაგვიკლია, მოლხენა გვიან ღამემდე გაგრძელდა.“

პო ერთობ მომცრო და მყუდრო ქალაქია საიმისოდ, ასეთი ხმაურიანი და ტიტულიანი გუნდი რომ ჰყავდეს. ამიტომაც მადლიერმა პოელებმა ჩემპიონებს საკადრისად მიაგეს პატივი. ჩემპიონობის მეორე დღეს, კვირას, პოს მერიასთან თითქმის ნახევარმა ქალაქმა მოიყარა თავი. თავად ჩემპიონები კი მერიის კოპწია შენობის ტერასაზე გამწკრივდნენ.

„პოში დიდი ზეიმი მოეწყო, ხალხმა პატივისცემა გამოხატა ჩვენს მიმართ, როცა მერიის მოედანზე შეიკრიბა და ათასგვარი სიმღერით თუ შეძახილით ჩემპიონობა მოგვილოცა. იმ წუთებში საკუთარი თავი მართლაც გმირი მეგონა.“

თბილისში წამოსვლამდე მდივანს სამწლიანი პროფესიული კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა „პო ორტეზთან“...

„კონტრაქტი კი გავაფორმე, მაგრამ დროებითი, ოქტომბრამდე. პროფესიული კონტრაქტის გაფორმება ჯერ არ შემიძლია, ოქტომბერში ვხდები სრულწლოვანი. ფრანგებმა ამით დამიბეჭეს, ოქტომბრამდე სხვა გუნდში რომ არ წავსულიყავი, თუმც უკეთესი ვარიანტი რომ გამომიჩნდეს, პოელები ხელს მაინც ვერ შემიშლიან“ — ამბობს მდივანი.

უკეთესი ვარიანტები კი, როგორც მდივანს მისმა მენეჯერმა კრისტოფ ომეჰმა უთხრა, არსებობს, თუმც კონკრეტული შეთავაზებებს და კლუბების ვინაობის გამხელას არ ჩქარობს.

მდივანს გული არ დასწყდება, თუ „პო ორტეზზე“ უკეთეს გუნდში ვერ ითამაშებს: „არ ვიცი, ჩემი მენეჯერი რა კლუბებს ეძებს, „პო ორტეზი“ ყველანაირად მაკმაყოფილებს.“

ირაკლი პერტაია

ჩვენი ჩემპიონატების ყველაზე ექსტრავაგანტურ-კოლორიტული ფიგურა უდავოდ ზაზა მაჩალაძეა. ვინ არ იცნობს „კოლინას“, მსაჯს, რომელიც პიერლუიჯი კოლინას გაჭრილი ვაშლივით ხომ ჰგავს და არც პრინციპულობით ჩამორჩება. არადა, მაჩალაძე რამდენიმე წლის წინ კალათბუროელი იყო და მოედანზე ისე შფოთისთავობდა, ახლა რომ თავისნაირი მოთამაშე შეხვდეს, უეჭველად ტექნიკურს გამოუწერს. ჰოდა, საოცარიც ისაა, ასეთი ხასიათის კაცმა თამაშს თავი რომ დაანება, მსაჯობა დაიწყო, იმ ხალხის პროფესია ირჩია, რომელთაც ერთ დროს მტრებად თვლიდა. ირჩია და ბოლომდეც შეჩერდა, დღე-დღეზე იგი ფიბა-ს საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გახდება. ზაზა მაჩალაძე რედაქციაში გვეწვია და ალალად გვესაუბრა საკუთარ წარსულზე, მიზეზებზე, რამაც მსაჯობა გადააწყვეტინა და, რა თქმა უნდა, იმ სემინარ-გამოცდებზე, რომელთა მოსმენა-ჩაბარების შემდეგაც ევროპული რანგის მსაჯად იქცა

ზაზა კოლინა

მაჩალაძე წარსულის დავიწყებას ცდილობს

კოლინა და „კოლინა“

— სად მოეწყო სემინარი და რა ხდებოდა იქ?

— ამგვარი ღონისძიება ყოველწლიურად ეწყობა, ამჯერად 86-ე სამსაჯო სემინარ-გამოცდებს ჰოლანდიამ უმასპინძლა. ევროპელი მსაჯებთაგან რჩეულებს საერთაშორისო არბიტრის წოდება ენიჭებათ.

— იმედია, რჩეულთა შორის იყავით...

— მეც ასე ვფიქრობ. პასუხი ამ დღეებში ჩამოვა და საბოლოოდ მაშინ გაირკვევა ყველაფერი. ისე კი, თავად ორგანიზატორებმა უთხრეს ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელებს, ჩათვალეთ, რომ ზაზა მაჩალაძე საერთაშორისო კლასის არბიტრიაო.

— ზაზა მაჩალაძე თუ ზაზა კოლინაო... გავიგეთ, ამსტერდამშიც კოლინა შეგარქვეს, ისევე, როგორც აქ.

— მართლაც კოლინას მეძახდნენ. სემინარის შეფმა პირველად რომ მნახა, თქვა, კოლინას ფეხბურთისთვის დაუნებებია თავი და კალათბურთში გადმოსულაო.

— ხომ არ გწყინთ, კოლინას რომ გეძახიან?

— არა, რატომ უნდა მწყინდეს, ვგავარ და...

— ორი სიტყვით ჰოლანდიურ ამბებზე...

— ისეთ გრაფიკი იყო, ამსტერდამიც ვერ დავათვალიერე. დილის 9 საათიდან ღამის 11-მდე დაკავებული ვიყავი. მერე გამოცდები ტესტირებით ჩავაბარეთ, რამდენიმე მატჩიც მამსაჯეს. მინდა, მადლობა ვუთხრა ნოდარ გელაძეს, რომელიც ადრე მწვრთნელი იყო, ახლა კი უკვე ცხრა წელია, ჰოლანდიაში ცხოვრობს. ის ყველაფერში გვერდში მედგა. მადლობა ასევე ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტს ბესიკ ლიპარტელიანს, ვისი მოწიდინებითაც გავემგზავრე ჰოლანდიაში.

— სხვა ქართველი მსაჯებიც ხომ არ ადგანან თქვენს გზას?

— გაისად დავით ბერეკაშვილი და მაკა კუპატაძეც აპირებენ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის გამოცდებზე გასვლას.

— უკვე შეიძლება ითქვას, პროფესიონალი, ევროპული დონის მსაჯი ხართ. თუ იფიქრებდით ამას 6-7 წლის წინ, კალათბურთელობისას?

— არა, ვერ ვიფიქრებდი, მწვრთნელობა მქონდა გადაწყვეტილი.

— სხვა სპორტშიც ხომ გიცდიათ ბედი?

— კალათბურთიდან რაგბიში გადავედი, მაგრამ ისევ კალათბურთს დავუბრუნდი. შემდეგ ძძიმე ტრავმა მივიღე და აქტიურ სპორტს გამოვეთიშოვე. გითხარით, მწვრთნელობა მინდოდა-მეთქი, მაგრამ არ გამომივიდა და კალათბურთის სიყვარულმა მსაჯობა გადამაწყვეტინა.

— არ გაგიჭირდათ გადაწყვეტილების მიღება? თქვენ ხომ მსაჯებთან დავა-კამათით გამოირჩეოდით...

— არ ვიცი, გადავწყვიტე და ქუთაისის გუნდს თბილისში წამოვყევი სამსაჯოდ. მას მერე სასტვენი ჩამოვიკიდე გულზე.

— არადა, თავიდან გაგიჭირდათ მსაჯობა. ძველი სიფიცხე გამოგყვათ და ხშირად მოთამაშეებთან, მაყურებლებთანაც კი კამათობდით...

— ყველა საქმე ასეა, თავიდან გიჭირს. რა თქმა უნდა, მეც გამიჭირდა, თან მსაჯობა ძალიან ძნელი პროფესიაა. დამეხმარნენ გამოცდილი, ძველი თაობის მსაჯები — მურმან ქურიძე და როლანდ ხომერიკი.

— კალათბურთელობისას ბევრს ჩხუბობდით, ახლა კი მოთამაშეებს ერთ ხმამაღალ სიტყვას არ პატიობთ. კალათბურთელს რომ სჯით, რაღაცნაირ უხერხულობას ხომ არ გრძნობთ?

— არავითარი უხერხულობა, დისციპლინის დამრღვევი უნდა დაისაჯოს. ვხვდები, რისი თქმაც გსურთ და ვაღიარებ, რომ მაშინ არასწორად ვიქცეოდი, მსაჯებს რომ ვეურჩებოდი. მოედანზე ჩხუბი ყოვლად დაუშვებელია... წარსულის გახსენება არც მინდა, ეს ჩემი ცხოვრების შავი ლაქა იყო.

— თქვენ იმდენად პრინციპული ხართ, ხანდახან მიმხვდარხართ საკუთარ შეცდომას, მაგრამ მაინც არ გადაგითქვამთ პირვანდელი გადაწყვეტილება...

— ყველა ცდება და მათ შორის მეც. ამსტერდამულ სემინარებზე კასეტაზე ჩაწერილ ეპიზოდებს გვიჩვენებდნენ შენელებულად, ჯარიმაა თუ არაო. ოცი მსაჯი ვიყავით, ყველას საკუთარი პოზიცია უნდა დაეფიქსირებინა. ერთსულოვნები არც ერთ ეპიზოდისას არ ვყოფილვართ, ისეც მომხდარა, ჰოს და არას მთქმელები ათი ათზე ვყოფილვართ. შეცდომისგან არავინა დაზღვეული, მთავარია, შეგნებულად არ დაუსტვინო უსამართლოდ.

რაც შეეხება გადაწყვეტილების შეცვლას, შუა თამაშისას მე არ შევცვლი გადაწყვეტილებას დარწმუნებული რომც ვიყო, რომ შევცვდი. აი, როცა მატჩის ბოლო წუთებია და შესაძლოა, ჩემმა დასტვენამ შედეგზე იქონიოს გავლენა, შევცვლი, აბა, რას ვიზამ, ოღონდ კომისარ-მსაჯებთან მოთათბირების შემდეგ.

— ამბობენ, მსაჯმა თუ მოინდომა, ისე მოაგებინებს გუნდს, ვერავინ შეატყობსო. თქვენ თუ შეგიძლიათ ასეთი რამ?

— ეგ უვიცი ხალხის ნათქვამია. არ არსებობს, მსაჯს მიკერძოება ვერ შეატყო. თუ ვინმე მასწავლის ამ საქმეს, მადლობელი ვიქნები — ვხუმრობ, რა თქმა უნდა.

— დაძაბული მატჩებისას უკმაყოფილო ქომაგი მრავლად გყავთ. ზოგიერთი ისე გაავდება, გემუქრებათ, გარეთ გამოსვლა არ გინდაო... რა ხდება-ხოლმე გარეთ?

— არაფერი ისეთი, სიყვარული და ჩახუტება, ყველაფერი ხელის ჩამორთმევით, ხანდახან სუფრითაც მთავრდება. ქომაგი რომ მატჩის მსვლელობისას ფიცხდება, ეს ბუნებრივია. კალათბურთი ძალიან აზარტული თამაშია. ერთ-ერთმა უნდა წააგოს და კმაყოფილი ხომ არ დარჩება. ასეთებმა არ იციან, რა არის მსაჯობა, ერთი გამოსცადონ და მერე აღარ ილაპარაკებენ ამდენს.

— ჩვენი ჩემპიონატის ყველაზე დისციპლინიანი და უდისციპლინო მოთამაშე...

— მაგას ჩემზე უკეთ ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის ხელმძღვანელი გეტყვით.

— თქვენს შვილს თუ ამსაჯებთ?

— ჩემი ბიჭი კალათბურთელია და მსაჯობას აქედანვე ვასწავლი.

ირაკლი პერტაია

დიდი შუმი: პლუს 1 000!



REUTERS ნიურბურგიდან

შუმახერიანთ გაუხარიათ: რალფმა „ევროპა“ გაახერხა, მიხაელმა 1000

კვირას გერმანიაში, ნიურბურგის ლეგენდარულ ავტოდრომზე ძნელად დასაჯერებელი, ფანტასტიკური ამბავი მოხდა: მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა თავის უბრწყინვალეს საფორმულო კარიერაში 1 000 ქულა დააგროვა.

„ნიურბურგრინგზე“ გუშინწინ ყველა ამ არაჩვეულებრივი მოვლენის მოლოდინში იყო. დიად გერმანელს 999 ქულა ჰქონდა და, ბუნებრივია, ძალიანაც სურდა საოცნებო ზღვარი თავის მშობლიურ ქალაქ კერპენთან მახლობლად მდებარე ტრასაზე დაეძლია უამრავ თანამემამულე-თაყვანისმცემელთა თვალწინ. ზეისტორიული რეკორდი კი დაფიქსირდა, მაგრამ „წითელ ბარონს“ ნარბოლევს გაათასების შესაფერი ემოციები არ ეტყობოდა. მიზეზი მისი შედარებითი წარუმატებლობა გახდა.

ჯერ, რა თქმა უნდა, კვალიფიკაციაზე ვთქვათ. სადღეისოდ უხნესმა მეფორმულემ, 37 წლის ოლივიე პანის, მიუხედავად იმისა, რომ წინა დღის უხეირო შედეგის გამო დასაწყისში მოუხდა გაჯირითება, არც ისე ჯანიანი „ტოიოტათი“ ისეთი მშვენიერი დრო აჩვენა, რომ კარგა ხნით იგდო ხელთ ლიდერობა რენოელების — ფერნანდო ალონსოსა და იარნო ტრულის გამოჩენამდე. საპოულე საათის მიწურულს ბობოლების ჯერიც დადგა და წრის გავლის სისწრაფემაც მკვეთრად იმატა. ტრულის შედეგი 0,2 წამით გააუმჯობესა რუბენს ბარიკელომ, რომელსაც ასეთივე სხვაობით გაასწრო რალფ შუმახერმა. უფროსმა შუმიმ ძმის დროს 0,064 წამი ჩამოაკლო, ბოლო სიტყვა კი კიმი რაიკონენის იყო. 23 წლის ფინელმა 5,1 კილომეტრიანი წრე უნაკლოდ და უსწრაფესად გაიქროლა, მიკროსკოპიული უპირატესობით — წამის სამი მეასედით აჯობა 54 პოულის მომგებ მიხაელს და თავის 43-რბოლიან კარიერაში პირველად მოიგო საკვალიფიკაციო გაჯიბრება.

წლეულს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეტაპის სტარტმა მშვიდობიანად, უავარიოდ ჩაიარა და ყველანი მწყობრში დარჩნენ. თუმც, როგორც ყოველთვის, ქარავანში არაერთი გადაადგილება მოხდა. მიხაელის მეორე პოზიცია ტრეკის ჭუჭყიან, მარჯვენა მხარეს იყო, ამიტომ დაძვრისთანავე შუა გზისკენ გაიწია და ამასობაში უფრო ფაცხლად გაქანებული ძმის უკან აღმოჩნდა. ბარიკელომ წინ მავალთა გაწევ-გამოწევით ისარგებლა და პირველ მოსახვევში მონტოიას შეასწრო. პანის ალონსომ აუარა გვერდი, ყველაზე მეტად კი ჯანკარლო ფიზიკელამ იზარალა — უცბად ჩამოქვეითდა სამი ადგილით.

რაიკონენი თავიდანვე ფეთიანივით გაიჭრა წინ და მალე საგრძნობლად დაშორდა მდევრებს. ხუთი წრის შემდეგ კიმი რალფს უკვე ხუთ წამზე მეტს უგებდა. მათ მიჰყვებოდნენ მიხაელი, ბარიკელო, მონტოია, ტრული, ალონსო, პანი... დაწინაურებულთა რიგებში პირველ საპიტსტოპო სერიამდე ერთი ცვლილებაც არ მომხდარა. ფინელის „მაკლარენი“ ისევ ყველაზე მკვირცხლად მიჯირითობდა და მე-16 წრეზე ბოქსებში სტუმრობამდე ხუთჯერ უსწრაფესი წრეც გაახერხა. კიმიმ და მიხაელმა ერთდროულად ჩაიმატეს საწვავი, რალფმა კი, მართალია, ხუთი წრე იცადა, დროის სასურველი მარაგის დაგროვება მაინც ვერ შეძლო და ბოქსიდან გამოსული კვლავ რაიკონენის კუდში მოექცა ოთხწამიანი ჩამორჩენით. თავის მხრივ, პატარა შუმიც ამდენივეს უგებდა ძმას.

რაიკონენი ისე მსუბუქად და სწრაფად მიქროდა, ცხადი იყო, გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ 26-ე წრეზე მის ბედაურს „მერსედესის“ გულმა უმტყუნა. პილოტი ისე იყო ნირწამხდარი, რომ დასახმარებლად მისულ სტიუარდებს ხელიც კი ჰკრა.

ახლა რალფმა აიწყვიტა და ყოველ წრეზე ზრდიდა უპირატესობას, ძმასთან კი ისევ ის ოთხი წამი რჩებოდა. მან ბოქსებს მეორედაც ფერარელებზე გაცილებით გვიან მიაკითხა და მეწინავეობა შეინარჩუნა. მონტოია ბარიკელოს კუდში კი მისდევდა, მაგრამ გასწრება ვერაფრით მოახერხა. ხუანმა, ბოლოს და ბოლოს, წინ გაჭრა შეძლო უფრო გვიანი და სწრაფი პიტსტოპის ხარჯზე, მერე კი მიხაელსაც შეუტია. ერთ-ერთ მოსახვევში მანქანები ერთმანეთს ოდნავ შეეხნენ, რის შედეგადაც „ფერარი“ გზაზე დატრიალდა და მოხრეშილ ზონაში გადაცურდა, კოლუმბიელის „უილიამსმა“ კი რბოლა გართულების გარეშე გააგრძელა. ჩემპიონის ბოლიდის წინა ბორბლები ასფალტზე იყო, ძრავაც არ ჩამქრალა და მან სტიუარდებს ხელით საშველად უხმო, იმათაც ბოლიდი მიწოლით ტრასაზე გადმოაგორეს. ამ დავიდარაბის შემდეგ მიხაელი ბრძოლას მეექვსე დაუბრუნდა, ლიდერთან ერთწუთიანი ჩამორჩენით და არათუ მოგების, პოდიუმის შანსიც კი გადაეწურა.

ფინიშამდე აღსანიშნავი ისაა მოხდა, რომ მეოთხე პოზიციაზე მყოფ ალონსოს ადევნებული კულჰარდი ლამის ყოველ მოსახვევში ცდილობდა გასწრებას. ათიოდე კილომეტრი რჩებოდა, როცა მორიგი მოსახვევის წინ ადრე დამუხრუჭებულ „რენოს“ რომ არ შესკდომოდა, დევიდმა მკვეთრად მარჯვნივ გაიწია და დამცავ ზონაში გვარიანად იფრინა. საბედნიეროდ, „მაკლარენი“ არც ამოყირავებულა და არც რკინის ბარიერს მიხეთქებია.

რალფ შუმახერმა ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა და შვიდწლიან კარიერაში მეხუთე დიდი პრიზი დიდი უპირატესობით მოიგო: „ჩვენ მანქანებში მეტოქეებზე ათი კილოგრამით მეტი საწვავი გვესხა და გვიანი პიტსტოპების სტრატეგიამ გაამართლა. წინა ორ ლიტრით პოული კი მოვიგე, მაგრამ გამარჯვების მოპოვება ვერ შევძელი, რისთვისაც უმოწყალოდ გამაკრიტიკეს. დღეს კი, მგონი, დავამტკიცე, რომ ცუდ პილოტებსაც შეუძლიათ რბოლის მოგება.“

ეს რალფისა და ხუანის დუბლით (პირველ-მეორე ადგილზე) მეორე გამარჯვებაა. პირველი წელიწადნახევრის წინ მალაიზიაში იზეიმეს.

რაც შეეხება ნახსენებ ინციდენტს, კომისრებმა დაწვრილებით გაარჩიეს მიხაელთან და მონტოიასთან ერთად და რაკი ჩვეულებრივ სარბოლო შემთხვევად მიიჩნიეს, არავინ დაუსჯიათ. „ეს ჩვეულებრივი სარბოლო ინციდენტი იყო. იმ მომენტში თუ არა, მოგვიანებით ხუან-პაბლო მაინც გამასწრებდა, რადგან ჩემი საბურავები ცუდ მდგომარეობაში იყო. მის ადგილზე მეც ასე მოვიქცეოდი. დამნაშავე არავინაა“ — ასეთია შუმახერის კომენტარი, რომლის ლიდერობაც ჩემპიონატში შვიდ ქულამდე გაიზარდა და საწუწუნოც, ცხადია, არაფერი აქვს.

ზია ახალაძე

რბოლის შედეგები

ეროპის დიდი პრიზი
29 ივნისი. ნიურბურგი
დისტანცია — 60 წრე — 308,863 კმ

1.	(3)	რ.შუმახერი	(უილიამსი)	1:34.43,622 (195,6 კმ/სთ)
2.	(4)	მონტოია	(უილიამსი)	ჩამორჩა 16,821
3.	(5)	ბარიკელო	(ფერარი)	39,613
4.	(8)	ალონსო	(რენო)	1:05,731
5.	(2)	მ.შუმახერი	(ფერარი)	1:06,162
6.	(11)	ვებერი	(იაგუარი)	1 წრით
7.	(12)	ბატონი	(B.A.R)	1 წრით
8.	(20)	პიდფელდი	(ზაუბერი)	1 წრით
9.	(15)	ფრენცენი	(ზაუბერი)	1 წრით
10.	(16)	პიკონია	(იაგუარი)	1 წრით
11.	(14)	ფირმენი	(ჯორდანი)	2 წრით
12.	(13)	ფიზიკელა	(ჯორდანი)	2 წრით
13.	(19)	უილსონი	(მინარდი)	2 წრით
14.	(18)	ფერსტაპენი	(მინარდი)	3 წრით

რბოლას გამოეთიშნენ

15.	(9)	კულჰარდი	(მაკლარენი)	გაიარა 57 წრე
	(10)	და მატა	(ტოიოტა)	54
	(17)	ვილნევი	(B.A.R)	52
	(6)	ტრული	(რენო)	37
	(7)	პანი	(ტოიოტა)	37
	(1)	რაიკონენი	(მაკლარენი)	25

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული
რაიკონენი 1:31,523 (202,5 კმ/სთ)

საუკეთესო წრე
რაიკონენი 1:32,621 (200,1 კმ/სთ)

		ავსტრალია 9 მარტი	მალაიზია 23 მარტი	ბრაზილია 6 აპრილი	სან მარინო 20 აპრილი	მონაკო 4 მაისი	ესპანეთი 18 მაისი	კანადა 1 ივნისი	ევროპა 15 ივნისი	საფრანგეთი 29 ივნისი	ავსტრია 6 ივლისი	დ.ბრიტანეთი 20 ივლისი	გერმანია 3 აგვისტო	უნგრეთი 24 აგვისტო	იტალია 14 სექტემბ.	აშშ 28 სექტემბ.	იაპონია 12 ოქტომბ.	ჯამი
1	**მ.შუმახერი** ფერარი, გერმანია	5	3	–	10	10	10	6	10	4								58
2	**რაიკონენი** მაკლარენი, ფინეთი	6	10	8	8	–	8	8	3	–								51
3	**რ. შუმახერი** უილიამსი, გერმანია	1	5	2	5	4	3	5	8	10								43
4	**მონტოია** უილიამსი, კოლუმბია	8	–	–	2	5	–	10	6	8								39
5	**ალონსო** რენო, ესპანეთი	2	6	6	3	8	–	4	5	5								39
6	**ბარიკელო** ფერარი, ბრაზილია	–	8	–	6	6	6	1	4	6								37
7	**კულჰარდი** მაკლარენი, დ.ბრიტანეთი	10	–	5	4	–	4	2	–	–								25
8	**ტრული** რენო, იტალია	4	4	1	–	–	1	3	–	–								13
9	**ფიზიკელა** ჯორდანი, იტალია	–	–	10	–	–	–	–	–	–								10
10	**ბატონი** B.A.R, დ.ბრიტანეთი	–	2	–	1	–	5	–	–	2								10
	ვებერი (იაგუარი) — 9; ფრენცენი (ზაუბერი) — 7; ვილნევი (B.A.R), და მატა (ტოიოტა) — 3; პიდფელდი (ზაუბერი) — 2; ფირმენი (ჯორდანი), პანი (ტოიოტა) — 1 ქულა																	
1	**ფერარი**	5	11	–	16	16	16	7	14	10								95
2	**უილიამსი**	9	5	2	7	9	3	15	14	18								82
3	**მაკლარენი**	16	10	13	12	–	12	10	3	–								76
4	**რენო**	6	10	7	3	8	1	7	5	5								52
5	**B.A.R**	–	2	3	1	–	5	–	–	2								13
	ჯორდანი — 11, ზაუბერი — 9, იაგუარი — 9, ტოიოტა — 4 ქულა																	

უიმბლდონი 2003 საპრიზო 17 074 000 $



REUTERS ლონდონიდან

სკადი აგასის შეასკდა

მარკ ფილიპუსისი ანდრე აგასის ძლევას ხარობს

ანდრე აგასი ეშხში რომ შევიდა და საუკეთესოდაც ათამაშდა, სწორედ მაშინ ჩაჩოგნა „მუხთალმა მტერმა“. 33 წლის ანდრემ მთელი თავისი გამოცდილება ჩააქსოვა ახმახ მარკ ფილიპუსისთან სამერვედფინალო შეხლაში, არაერთი ლამაზი ბურთიც ჩაუშვა მეტოქის წილ კორტზე, მაგრამ უიმბლდონის ბალახზე სინატიფეზე მეტად ძალა ბატონობს და აკი გამარჯვება მას დარჩა.

სკადმა ანდრეს 46 ეისი ჩაუბომბა, რაც ამ უიმბლდონის უალტერნატივო რეკორდი ხომ გახლავთ და, საერთოდაც ამ სლემტურნირის ყველა დროის რეკორდის გამეორებაა. რა უნდა გაეწყო ჭკვიან, მაგრამ მომცრო ანდრეს? მან მოიგო ორი სეტი, მაგრამ კორტი სკადის ძალამ მოხნა.

ფილიპუსისმა უპირატესობა მესამე სეტის შუძეგ აართვა ანდრეს. აგასი 2:1 იგებდა, მაგრამ ავსტრალიური ყუმბარების დევნამ არაქათი გააცალა, თანაც ისიც არდასავიწყია, რომ ორი დღის წინ მან უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა მაროკოელ იუნეს ელ აინაუისთან.

ამ სამ დღეში ორი წრე გაიარა და მეოთხედფინალში ზედიზედ მეხუთედ შეაბიჯა ბრიტანელთაგან ერთადერთმა გადარჩენილმა ტიმ ჰენმანმა. მას მერვედფინალში ძნელი მეტოქე ჰყავდა, შარშანდელ ნახევარფინალში მისი გამგდები არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი. მართალია ახლა სათამაშო უპირატესობა ბრიტის მხარეს იხრებოდა, მაგრამ არც იმდენად, რომ ლონდონურ პუბლიკას ტიმისთვის წინასწარ ჩაეთვალა გამარჯვება.

ორი წრე გაიარა ამერიკულმა მსხვილკალიბრიანმა ყუმბარმტყორცნმა ენდი როდიკმაც, ვინაც შაბათს ესპანელი ტომი რობრედოს გაძევების შემდეგ ახლა თავზღარბა ტაი-ბიჭის პარადორნ შრიჩაფანის თავზე დაატრიალა წისქვილის ქვა. პარადორნმა მას ოდენ მეორე სეტი აართვა, სხვებში კი უიმედოდ დამარცხდა.

ქალებში ჯერჯერობით ვერ ხმაურობენ უსახელო ჩოგნები. დები უილიამსები და ბელგიელი დობილები, კლაისტერსი და ენენი იოლად მიიკაფავენ გზას. ამათ გარდა მეოთხედფინალს უწიეს ზორბმა ამერიკელმა დედაკაცებმა დეენპორტმა და კაპრიატიმ და, იმედია, როცა დიდქალები ერთმანეთს შეასკდებიან, ქალთა კორტებიც გაცოცხლდება.

მანამდე კი რუსები ხმაურობდნენ, ისინი ერთბაშად ხუთნი გავიდნენ მერვედფინალში, მაგრამ იქიდან მხოლოდ ერთადერთმა — სვეტლანა კუზნეცოვამ გააღწია, ისიც იმიტომ, რომ მეტოქედ რუსი ჰყავდა. რაღა დაგიმალოთ და, მის მიერ მარია შარაპოვას ძლევა ნაკლებად მოგვეფონა გულზე.

კოტე ყორღანია

ანბანი

მესამე წრე

დავიდ ნალბანდიანი (6, არგენტინა) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:4, 5:7, 6:7 (1:7), 6:4, 6:2; ტიმ ჰენმანი (10, ბრიტანეთი) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:3, 6:1, 6:4; ხუან კარლოს ფერერო (3, ესპანეთი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:4, 6:4, 2:6, 6:4; სებასტიენ გროზანი (13, საფრანგეთი) — უესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) 6:7 (5:7), 6:2, 6:4, 6:4; ანდრე აგასი (2, აშშ) — იუნეს ელ აინაუი (27, მაროკო) 5:7, 6:4, 7:6 (7:4), 7:6 (7:4); მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — რადეკ სტეპანეკი (35, ჩეხეთი) 4:6, 7:6 (7:9), 6:4, 7:6 (8:6); ოლივიე როხუსი (ბელგია) — იარკო ნიემინენი (30, ფინეთი) 7:6 (7:5), 6:3, 6:1; ალექსანდერ პოპი (გერმანია) — ირჟი ნოვაკი (11, ჩეხეთი) 6:3, 6:4, 7:6 (7:3)

მერვედფინალი

პენმანი — ნალბანდიანი 6:2, 6:7 (4:7), 7:5, 6:3; ფილიპუსისი — აგასი 6:3, 2:6, 6:7 (4:7), 6:3, 6:4; პოპი — როხუსი 5:7, 6:3, 6:4, 6:2; სხენგ შალკენი (8, პოლანდია) — რაინერ შიუტლერი (9, გერმანია) 7:5, 6:4, 7:5; როჯერ ფედერერი (4, შეიცარია) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:4, 6:4; ინიას პიორკმანი (შვედეთი) — მაკს მირნი (ბელარუსი) 6:4, 3:6, 6:3, 7:6 (7:4); ედგი რრედიკი (5, აშშ) — პარადორნ შრიჩაფანი (12, ტაილანდი) 6:4, 3:6, 6:3, 6:2

ქალები

მესამე წრე

სერენა უილიამსი (1, აშშ) — ლაურა გრანვილი (აშშ) 6:3, 6:1; ჯუსტინ ენენ-არდენი (3, ბელგია) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:4, 6:4; ჯენიფერ კაპრიატი (8, აშშ) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 6:4, 6:4; ანასტასია მისკინა (10, რუსეთი) — კონჩიტა მარტინესი (18, ესპანეთი) 6:3, 6:3; მარია შარაპოვა (რუსეთი) — ელენა დოკიჩი (11, იუგოსლავია) 6:4, 6:4; ელენა დემენტიევა (16, რუსეთი) — ანიკო კაპროსი (უნგრეთი) 6:3, 6:1; მარი პირსი (საფრანგეთი) — ლაიზა რეიმონდი (23, აშშ) 4:6, 6:3, 7:5; სვეტლანა კუზნეცოვა (33, რუსეთი) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 6:1, 6:2

მეოთხედფინალი

კუზნეცოვა — შარაპოვა 6:1, 2:6, 7:5; ენენ-არდენი — პირსი 6:3, 6:3; კაპრიატი — მისკინა 6:2, 6:3; ს. უილიამსი — დემენტიევა 6:2, 6:2; სილვია ფარინა ელია (27, იტალია) — პოლა სუარესი (არგენტინა) 7:5, 7:6 (7:3); ვენუს უილიამსი (4, აშშ) — ვერა ზვონარიოვა (16, რუსეთი) 6:1, 6:3; ლინდსი დევენპორტი (5, აშშ) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:4, 6:1; ჯენ ჯაესტერსი (2, ბელგია) — აი სუგიამა (13, იაპონია) 6:3, 6:2

ამბავ-ხაბარი

ვინუსს ენა გაუტყდა

უიმბლდონის ხასხასას ორგზის გამჯეგავი, სხვაც ბევრი ტიტულის პატრონი ვინუს უილიამსი თავისი 188 სანტიმეტრი სიმაღლიდან ამაყად როდი დაჰყურებს დაბალ თანამეკორტეებს. პირიქით, მათთან მეგობრულ თუ არა, კარგი ნაცნობობის ძაფების გაბმას ცდილობს და შავ გულმკერდში მძგერი ალალი გული სლავი გოგოებისკენ მიუწევს. ჩეხეთ-სლოვაკეთ-რუსეთიდან შემოჭრილი ევა და ოვა ასოთშეთანხმებებზე დამთავრებული გვარის გოგონები კი იმდენი არიან, ვინუსი და სრულიად საჩოგბურთო სამყარო ახლაღა ეცნება მათ. მაგალითად, რუსები ერთბაშად ხუთნი მოხვდნენ მერვედფინალში.

„ლონდონში ჩამოსვლამდე ბევრი მათგანის სახელიც არ გამეგონა — ამბობს ვინუსი — ახლა დიდი სურვილი მაქვს, ყველა მათგანს დავუახლოვდე. მათი გვარების წარმოთქმაშიც კი ვმეცადინეობ. ისინი მე საკუთარ თავს მაგონებენ, როცა უიმბლდონზე პირველად ჩამოვედი. მაშინ ჩემს თავზე მთელი სამყარო ბრუნავდა.“

ფულს მოყოლილი მეგობარი ფულს გაჰყვება

რისკენ უნდა ილტვოდეს ერთი ხანობა ზეპერსპექტიულ მოთამაშედ მიჩნეული ჯანიანი ჯეელი, რომელმაც 26 წლამდე სამი ოპერაცია გადაიტანა, სარეიტინგო მდგომარეობა გაიმრუდა და რომლის მამაც კიბოს ებრძვის? ახმახი ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისი, რომელმაც ვერა და ვერ აიწყო კარიერა, კოლეგებს ურჩევს, დაივიწყონ ძვირფასი ავტომობილები, მოტოები, ვილები და შეცვალონ ცხოვრებისეული პრიორიტეტები.

„სკადმა“ იმდენი უიღბლობა ნახა ამქვეყნად, რომ მის თვალში მატერიალურ სამყაროს ფასი დაუკარგავს.

„ის, რაც ადრე მწყუროდა, ახლა ჩემთვის აღარაფერს ნიშნავს. მატერიალური კეთილდღეობა კაცს ბედნიერს ვერ გახდის. როცა ყველაფერი უკუღმა წავა, გაიხედ-გამოიხედავ და აღმოაჩენ, რომ ხალხი, რომელთაც მეგობრებად თვლიდი, აღარ ჩანან შენს გარშემო. ასეთ დროს ხსნა ჩოგბურთშია. მე 26 წლისა ვარ და ძველებურად მშია დიდი გამარჯვებები“.

დიდი გამარჯვების კონტურები კი, ვინ იცის, იქნებ გამოიკვეთა კიდეც. ახმახმა ავსტრალიელმა აგერ, თავად ანდრე აგასი დასცა და მეოთხედფინალს უწია.

პარადორნის სულის ბუდე



თუმც მერვედფინალიდან გავარდა, ბედს არც ტაი-ბიჭი პარადორნ შრიჩაფანი ემდურის. თურმე ღრმადმორწმუნე შრიჩაფანს ლონდონში, ამ თანამედროვე ბაბილონში თავისი დროებითი სამოსახლოდან სულ ხუთი წუთის სავალზე კაი მოზრდილი ბუდისტური სამლოცველო აღმოუჩენია და ხშირად სწორედ იქით მიუხარია. „ყოველ ორ დღეში მივდივარ და 5-10 წუთით ჩავულრმავდები ხოლმე ფიქრებს. დიდებული შეგრძნებაა, ყოველდღეურობით გათანგულ კაცს ცხოვრებას გიიოლებს“.

ეძებეთ ბედნიერება ცოტაში

ბელგიელ ოლივიე როხუსს თავისი მოკლე, სულ 166 სანტიმეტრის სიგრძის ტანი ხელს არ უშლის, თავი ბედნიერად იგრძნოს. „მე 22 წლისა ვარ და აღარ გავიზრდები, მაგრამ სიმაღლეზე წუწუნი თავს 14 წლიდან ავუკრძალე. რაც მთავარია, მე შემიძლია ჩოგბურთში გავიზარდო და ამაზე მეტი რა მინდა?!“

მგორავ რეიტინგსიაში 65-ე ადგილზე შეყოვნებულმა მომცრო ფლამანდიელმა, აგერ, უიმბლდონის მერვედფინალს უწია და ძალიანაც კმაყოფილია ამ შედეგით. ბედნიერი კაცია ოლივიე, თუნდაც იმიტომ, რომ ბედნიერებისთვის ბევრს არ ითხოვს.



მერე რა, რომ ოლივიე როხუსი ბევრ მეტოქეზე ერთი თავით დაბალია

ᰰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲫᲠᲐᲕᲔᲑᲗᲐᲜ

ᰰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲛᲝᲢᲝᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲘᲖᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ ᲐᲡᲣᲜᲨᲘ ᲒᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲐ. ᲘᲥ ᲑᲔᲕᲠ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲡ ᲛᲝᲣᲧᲠᲘᲐ ᲗᲐᲕᲘ, ᲘᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲘ ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲘᲡ ᲫᲕᲔᲚ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲡ, ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲙᲠᲐᲘᲩᲔᲙᲡᲐ ᲓᲐ „ᲛᲘᲚᲐᲜᲘᲡ“ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕ ᲙᲚᲐᲠᲔᲜᲡ ᲖᲔᲓᲝᲠᲒᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲢᲝᲛᲮᲔᲓᲐᲠᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ.

REUTERS ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲓᲐᲜ

REUTERS ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲐᲜ

ᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲐ

ᲔᲰ, ᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚᲛᲐ ᲰᲐᲠᲘᲛ ᲙᲘ ᲣᲙᲐᲠᲘᲢᲜᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲬᲧᲐᲚᲓᲐ. ᲗᲐᲜᲐᲪ, ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲓᲘᲓᲒᲕᲐᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲰᲝᲚᲝ ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲗᲐᲜ ᲬᲐᲐᲒᲔᲡ, 2:4,5. ᲛᲐᲢᲩᲘ ᲕᲝᲠᲕᲘᲡᲨᲘᲠᲨᲘ, ᲓᲐᲚᲐᲡ ᲑᲐᲠᲡᲢᲝᲜᲘᲡ ᲰᲝᲚᲝᲡ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲓᲒᲐ.

ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲮᲖᲔ

„ᲡᲐᲜ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝ ᲯᲐᲘᲐᲜᲢᲡᲘᲡ“ ᲑᲔᲘᲡᲑᲝᲚᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ, „ᲰᲐᲡᲘᲤᲘᲙ ᲑᲔᲚ ᲰᲐᲠᲕᲘ“ ᲠᲝᲛ ᲰᲥᲕᲘᲐ, ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲓᲐᲛᲝ ᲛᲝᲐᲬᲧᲝ. ᲔᲡ ᲡᲐᲓᲐᲛᲝ ᲘᲛᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲝ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲧᲝᲗ, ᲘᲥ ᲔᲙᲝᲢᲠᲘᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲔᲡᲕᲔᲜᲐ. ᲡᲐᲛᲔᲖᲔᲓᲠᲝ ᲖᲦᲕᲐᲗᲡᲐᲜ ᲑᲘᲚ ᲰᲘᲗᲔᲠᲡ, ᲛᲘᲡ ᲪᲝᲚ ᲙᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲯᲣᲡᲘᲡ ᲔᲡ ᲘᲓᲔᲐ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲔᲑᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲪᲕᲠᲘᲐᲜ ᲑᲐᲚᲐᲮᲖᲔ ᲛᲗᲚᲐᲓ ᲤᲔᲮᲨᲘᲛᲨᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲒᲝᲠᲔᲑᲣᲚᲐᲜ.

REUTERS ᲡᲐᲜ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝᲓᲐᲜ



REUTERS ᲖᲐᲜᲖᲘᲓᲐᲜ



ᲚᲣᲞᲣᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲖᲔ

ᲛᲖᲐᲠᲓ ᲓᲐ ᲛᲓᲘᲓᲐᲠ ᲨᲐᲜᲮᲐᲘᲨᲘ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲡᲘᲒᲠᲫᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲘᲓᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲚᲣᲞᲣ ᲓᲐᲐᲠᲥᲕᲔᲡ. ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲔᲛ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲘᲠᲑᲘᲜᲐ ᲚᲣᲞᲣᲖᲔ. ᲛᲐᲗ ᲙᲘ ᲬᲘᲜ ᲣᲫᲦᲕᲝᲓᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲘᲐᲝ ᲛᲘᲜᲒᲘ.

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ
28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ,
ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ,
ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

მთავარი რედაქტორი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
დირექტორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲯᲔᲓᲚᲘᲫᲔ
რედაქტორი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
მთავარი რედაქტორის მოადგილე ᲡᲝᲡᲝ ᲙᲘᲭᲘᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ტექნიკური რედაქტორი ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲒᲣᲑᲔᲚᲐᲫᲔ
ᲭᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ რედაქცია: ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲐᲪᲐᲠᲘᲫᲔ, ᲙᲝᲚᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ, ᲛᲐᲘᲙᲚᲘ ᲙᲣᲠᲮᲣᲚᲘᲐᲜᲘ, ᲨᲐᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲚᲘᲐᲜᲘ, ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲠᲘᲫᲔ
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ᲖᲐᲠᲘᲜᲐ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ, ᲝᲚᲘᲐ ᲠᲐᲑᲘᲜᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲨᲐᲕᲫᲔ, ᲯᲐᲯᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ რედაქციის რედაქტორი: ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲫᲘᲠᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ რედაქცია: ᲒᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲔᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ, ᲑᲐᲚᲘᲜᲐ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ
კორესპონდენტი გერმანიაში ᲯᲐᲜᲐ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ
ფოტორეპორტიორები: ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲔᲚᲔᲜᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲘᲗᲘᲚᲐᲫᲔ
სტილისტები: ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲘᲐᲜᲘ, ᲚᲐᲚᲘ ᲒᲝᲖᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
კომპიუტერული ცენტრი: ᲚᲘᲐ ᲑᲣᲜᲘᲐ, ᲔᲚᲔᲜᲔ ᲒᲣᲚᲔᲣᲚᲘᲫᲔᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲠᲘᲜᲐ ᲒᲝᲒᲘᲫᲔᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲓᲐᲠᲐᲯᲔᲚᲘᲫᲔ, ᲡᲕᲔᲢᲐ ᲓᲔᲕᲜᲘᲫᲔ, ᲤᲐᲢᲘ ᲓᲔᲕᲜᲘᲫᲔᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲒᲓᲐ ᲓᲝᲠᲒᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ, ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲭᲘᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲮᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲯᲝᲠᲜᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲯᲝᲠᲜᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ
sarbieli@gol.ge
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ
http://www.sarbieli.com.ge